ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლევან ეგრისელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში

ხელმძღვანელი: ეკ. მეც, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

გლობალიზაციის პროცესები მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს და მასში ჩართულობა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვისაა მნიშვნელოვანი, რომლებსაც საკუთარი სახსრები არ ჰყოფნით წარმოების ზრდისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს, როგორც წარმოების საზღვრევების გაფართოების, ასევე საერთაშორისო ვაჭრობასა და თანამშრომლობაში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ქვეყნების წარმომადგენლებმა გაანალიზეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს დიდი ყურადღება სჭირდება ეკონომიკური განვითრებისათვის, როგორც განვითარებული ქვეყნებისათვის ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველო შეიძლება ჩაითვალოს მიმზიდველ ქვეყნებს შორის, თუმცა საგულისხმოა, რომ უცხოელი ინვესტორები ადგილზე არსებული იაფი მუშა-ხელით და ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაინტერესებულნი.

საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით რამდენიმე პერსპექტიული დარგი აქვს მათ შორის მოწინავე ადგილს იკავებენ: ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და ტრანსპორტი. ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ინტერესი უძრავ ქონებაზე და სამშენებლო ბაზარზე. დანარჩენ დარგებზე ინტერესი გაცილებით დაბალია, საინტერესოა ისიც, რომ ასეთი ფლორის მიუხედავად ინვესტორთა ინტერესი საკმაოდ დაბალია სოფლის მეურნეობის მიმართულებით მას მხოლოდ 4 % შეიცავს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1996 წლიდან 2014 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით, საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა $12.4 მილიარდს გადააჭარბა, რომლის 42% ევროკავშირის ქვეყნებიდანაა შემოდინებული. თუმცა 2014 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემების თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყანათა რიცხვში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ჩინეთს ($157 მლნ) უჭირავს, რომელმაც გააქტიურება მხოლოდ III კვარტლში დაიწყო და ინვესტიციამ $149 მლნ ანუ მოცემული კვარტლის 29% შეადგინა (წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 47-ჯერ მეტი). შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი თავის ეკონომიკურ „ექსპანსიას" საქართველოში ახლა იწყებს. რაც შეეხება იგივე კვარტალში პირდაპირი 3 უცხოური ინვესტიციების დარგობრივ გადანაწილებას, ის შემდეგნაირია: მშენებლობა (36%); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (21%); უძრავი ქონება (12%).

Annotation

Foreign Direct Investments

Levan Egriselashvili

Topicality: Globasation process is taking place all over the world, involving in this is especially important for developed countries, which have no own recources to increase industry. Foreign direct investments represent how to widen industry borders, also to take an active part in collaboration and in international trading. It has not passed much time since that representatives of the countries realised, direct foreign investmens need much attention for economical development.

Direct foreign investments have some perpective branches. Among them on the first place are: engineering, communications, transport. In the recent period the interest on property and building market is quite increased. On other branches the interest is considerably low. It's as well interesting that in spite of such flora, investments interest to agriculture is low, it's only 4%.

According to statistical date, from 1996 to 2014 third quarter, direct foreign investments income in Georgia exceeded 12.4 milliard $. From this amount 42% is influent from European Union countries.

Although according to the thitd quarter of 2014 on the first place in direct foreign investment countries is China. (157 million $) It began activating only in the third quarter and compiled 29% of given quarter. (it is 47 times more than last year) It might be said that China is beginning now its economical "expansion" in Georgia.

Industry repartition of other three direct foreign investments looks so: construction (36%); transport and communications (21%); property (12%); Investments in mentioned industry in Georgia by this quage won't be positive in longterm period, because exsisting investments is not suitable for country's economical development, it is made for enrichmenting investors.

შინაარსი

შესავალი ---------- 5

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი ---------- 12

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეფინიცია ---------- 12

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ---------- 14

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივები ---------- 16

1.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები ---------- 23

1.5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ეტაპები ---------- 34

თავი 2. საქართველო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებბი ---------- 37

2.1 საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო ---------- 37

2.2 საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ ---- 42

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა საქართველოში ---------- 46

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში -------- 57

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და ეკონომიკური ზრდა ---------- 57

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები - 62

3.3 რამდენიმე მნიშვნელოვანი ინვესტიცია ---------- 66

3.4 პრაქტიკული მტკიცებულება ---------- 71

დასკვნა ---------- 77

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 80

შესავალი

თემის აქტუალურობა: საგულისხმოა ის გარემობა, რომ მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე საერთოდ განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნდა მსოფლიოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ, თუმცა ეს ყველაფერი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ინტერესი საკმაოდ გაიზარდა. 80-იან წლებში ტრანსეროვნული კორპორაციების მიერ განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძალიან დიდი ნაკადი, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ტექნოლოგიურ სფეროში. ამრიგად გლობალიზაცია ხელს უწყობს ვაჭრობასა ინვესტიციების დახმარებით ისეთ ქვეყნებს, რომლებიც არიან განვითარების ეტაპზე და შემდეგ ასეთი ქვეყნები ადვილად აღწევენ სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით ეფექტიანად იყენებენ აქტივებსა და რესურსებს, ხოლო ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნები კი, სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში.

უამრავი ჩატარებული კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა უშუალო კავშირში არიან ერთმანეთთან.

რაც შეეხება საქართველოს, ის ითვლება მოწინავე ქვეყანად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე შევეცდები ამ ნაშრომში ვისაუბრო მოგვიანებით.

მიმაჩნია, რომ საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრად განვითარებას.

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას აღნიშნავს.

ინვესტიციები ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, დიდ როლს თამაშობს წარმოების მოცულობის გაზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის დროს, ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე. ნებისმიერი ინვესტიციის, მთავარი მოქმედი პირს წარმოადგენს ინვესტორი. ინვესტორი არის ადამიანი ან კომპანია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ბიზნესის რომელ სფეროში, რა სახის ინვესტირება შეიძლება იყოს სარფიანი. ინვესტორებს

განსხვავებული შეხედულებები აქვთ ბიზნეს სტრატეგიებზე და ამის გამო ინვესტიციების მრავალი სახეობა გვევლინება. ინვესტიციების ძირითადი სახეები:
რეინვესტირება;
პირდაპირი ინვესტიციები;
  რეალური ინვესტიციები (რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება დაბანდებანი უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში);
  ფინანსური ინვესტიციები (ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა.შ);
  ვენჩერული ინვესტიციები (ახალ ან მცირე საწარმოში ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივ აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება. ვენჩურული კაპიტალის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია დიდი რისკი);
გრძელვადიანი ინვესტიციები;
მოკლევადიანი ინვესტიციები.
ინვესტიციები იყოფა ასევე ფორმების მიხედვითაც:
მატერიალური ინვესტიციები (მიწა, უძრავი ქონება, აღჭურვილობატექნიკა) არამატერიალური ინვესტიციები (საავტორო უფლებები, ლიცენზიები) ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები)
  ინვესტიციების როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში ძალიან დიდია. ინვესტიციები მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომერციული საქმიანობის ეფექტური ფუნქციონირებისა და დინამიური განვითარებისათვის.
  ინვესტიციები ასევე ხასიათდება ორი ურთიერთდაკავშირებელი პარამეტრით ესენია რისკი და მოგება. როგორც წესი რაც უფრო დიდია რისკი მით უფრო მაღალია მოსალოდნელი მოგებაც.
  ბოლო ათ წლეულში ტერმინმა „ინვესტიცია" უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი „ინვესტიცია" მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს. თუმცა, აღნიშნული ტერმინის მრავალგვარი განმარტება არსებობს, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებისა, თუ მეცნიერების მიერაა შემოთავაზებული.
  საქართველოს კანონის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" მე3 მუხლის თანახმად, ინვესტიცია არის „სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოოსაინვესტიციო პროგრამებსა და საწარმოოსაინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი

მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება".

მაშინ, როდესაც საქართველო აქტიურად ცდილობს ჩაერთოს საერთაშორისო ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში და დაემორჩილოს გლობალიზაციის სწრაფად მზარდ ტენდენციას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აქტუალურობა მნიშვნელოვნად იზრდება.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელა ქვეყანაში გაიზარდოს მწარმოებლურობის დონე, რასაც თავის მხრივ განაპირობებს ტექნოლოგიების, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ან კაპიტალის რაოდენობის ზრდა. კაპიტალის დაგროვებას ქვეყანაში ადგილი აქვს ორ შემთხვევაში, პირველი, როდესაც იზრდება დანაზოგების დონე და მეორე, როდესაც იზრდება ინვესტიციების რაოდენობა. საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მოსახლეობა ნაკლებადაა დაზოგვისადმი მიდრეკილი, შესაბამისად კაპიტალის ზრდის ალტერნატივად რჩება უცხოური ინვესტიციები, რომელსაც ქვეყანაში შემოაქვს პირველ რიგში ტექნოლოგიები, შედეგ ზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, გლობალური კომპანიები, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ახორციელებენ ინვესტიციებს ამზადაბენ და ატრენინგებენ სამუშაო ძალას, შედეგად ადგილი აქვს ისეთ სოციალურ ეფექტებს, როგორიცაა უმუშებრობის დონის შემცირება და კვალიფიკაციის დონის ამაღლება. გარდა ამისა უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნის ინფრასტრუქტურულ განვითარებას. მნიშვნელოვანი საკითხია მთავრობის როლი, რომელმაც ჯანსაღი გარემო უნდა შექმნას ინვესტიციების მოსაზიდად. სტიმული მისცეს საინვესტიციო პროექტებს, რომლებასაც რეალური შედეგი შეიძლება მოჰყვეს და დაბლოკოს ინვესტიციები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ან ბუნებრივ გარემოზე, ან ადამიანური რესურსების განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 80იან წლებამდე მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ დომინირებდა სავსებით განსხვავებული რადიკალური მიდგომა, სადაც ინვესტიციათა რეციპიენტ ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფით ზეგავლენაზე იყო ყურადღება გამახვილებული. აღნიშნულმა მიდგომამ ტრანსფორმაცია განიცადა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან, რადგანაც მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თანამედროვე ეტაპზე სავაჭრო პილიტიკის ლიბერალიზაციამ განაპირობა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო წარმოების ზრდა. XX საუკუნის 80იანი წლებიდან

ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უზარმაზარმა ნაკადებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიურ სფეროში, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიოში ვაჭრობისა და ინვესტიციათა 3 რეჟიმის ლიბერალიზაციას, განსაკუთრებით ბაზრების პრივატიზაციის შედეგად. ამ მხრივ, გლობალიზაცია ქმნის შესაძლებლობებს, რათა განვითარებადმა ქვეყნებმა ვაჭრობისა და ინვესტიციების დახმარებით მიაღწიონ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. უცხოელი ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ აქტივებსა და რესურსებს, ხოლო ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნები კი სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ერთვებიან საერთაშორისო წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შეფასება ეკონომიკურ მდგომარეობაზე სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს, მისი დაყოფა შეიძლება მიკრო და მაკრო ეკონომიკური მიდგომების თვალსაზრისით. მიკრო ამ დონეზე ინვესტიციების განხილვა შესაძლებელია კომპანიის დონეზე, ხოლო მაკროეკონომიკის შემთხვევაში ის მოიცავს: ეკონომიკის ზრდას, ვაჭრობას, დასაქმებას და უმუშევრობას.

კვლევის საგანი: საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე და შემდგომ მის ეფექტიანობაზე დადებით გავლენას ახდენს ლიბერალური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო, ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, კონკურენტული სავაჭრო წესები, რეფორმირებული ტექნიკური რეგულირების სისტემა, ქონების პრივატიზაცია, ბიზნეს ლიცენზიების სისტემა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა და საინვესტიციო პორტფელის მიზანმიმართული ფორმირება და მართვა. ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია ვაჭრობის სფეროში (≈70), დანარჩენი კი აგროსექტორში. ამის მიზეზი არის ვაჭრობის სფეროში საქმიანობის დაწყების სიმარტივე, რადგან ამ საქმიანობას არ ჭირდება წინასწარი მომზადება, ბიზნეს გეგმის შემუშავება და ა.შ. აგროსექტორში დასაქმებულების უმრავლესობის პირველადი საქმიანობაც ვაჭრობის სფერო იყო, მხოლოდ ბიზნესის გაფართოების და გაზრდის გამო გადაწყვიტეს მათ სხვა სფეროში გადასვლა. შესაბამისად მათ უმრავლესობასაც არასდროს არ დაუწერია ბიზნეს-გეგმა და არ იციან, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ≈72%-ს არ გააჩნდა ბიზნეს გეგმა, და გააჩნდა მხოლოდ იდეა და მცირე მონახაზი ამ იდეის განხორციელებისა, მათი დაფინანსება მაინც მოახდინეს ადგილობრივმა კომერციული ბანკებმა ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა. დღევადნელ დღეს, როდესაც ზოგადად ბიზნესს ესაჭიროება გაფართოება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა, როგორც ადგილობრივი ხასიათის, ასევე საერთაშორისო პრობლემა არის არსრულყოფილად წარდგენილი ბიზნეს გეგმა. გარდა აღნიშნულისა, გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბიზნეს გეგმის შედგენის დროს, დამფუძნებელი აქცენტს ძირითადად აკეთებს მის საჭიროებებზე, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნები, როგორებიცაა მიზნობრივი ბაზარი, კონკურენტები, რისკები, SWOT-ანალიზი და ა.შ. ან ნაკლებადაა აღწერილი, ან საერთოდ არაა ნაჩვენები. სწორედ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორი იშვიათად ინტერესდება წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმით და შესაბამისად თავს იკავებს კონკრეტულ ბიზნესში ინვესტიციის ჩადებისაგან. არის შემთხვევები, როცა საკუთარი საინვესტიციო პროექტის საფუძველზე აბანდებს კაპიტალს და იწყებს ფუნქციონირებას.

ჩემს მიერ გაანალიზებული აღნიშნნული თემა ძირითადად ეყრდნობა საკუთარ მსჯელობას, რომელიც სტატისიკური მაჩვენებლები ანალიზიდან გამომდინარეობას, თუმცა ასევე ჩემი აზრის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ცნობილი ეკონომისტების შეხედულებებმა, დასკვნებმა და იმ პუბლიკაციებმა, რომელსაც აღნიშნულ თემაზე მუშაობისას გავეცანი.

კვლევის მიზანი: საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვვნელობის და ეკონომიკურ ზრდაში მათი როლის განსაზღვრა.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება 81 გვერდისგან - 3 ძირითადი თავისა და 12 ქვეთავისგან, რომელსაც წინ ერთვის შესავალი (ქართულ და ინგლისურ ენაზე). ნაშრომი სრულდება ავტორის დასკვნით და ბოლოში არის მოცემული ნუსხა გამოყენებული ლიტერატურის შესახებ.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია:

თემაზე არსებული ლიტერატურული მასალა საკმაოდ მასიურია. ბევრი თეორია და შეხედულება არსებობს სხვადასხვა პუბლიკაციების სახით თუ რა როლი და მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს ქვეყნის განვითარებაში.

პირველად გავეცანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმარტებას და ყველა მათგანი მეტნაკლებად იდენტური აღმოჩნდა, მე პრიორტეტულად გრეგორი მენქიუს

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეფინიცია მივიჩნიე და ასევე მისი ლიტერატურული მასალიდან ვისარგებლე იმ ინფორმაციით, რომელიც კაპიტალის მნიშვნელობას და '"მკვეთრი ზრდის " ეფექტს განსაზღვრავდა.

ასევე საინტერესო ლიტერატურული მასალა არსებობს განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის პუბლიკაციის სახით, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან, მის საჭიროებასა და უპირატესობებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ასპექტებს მიმოიხილავს და ასევე მას განსაზღვრავს, როგორც გლობლაიზაციის ერთერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს.

რეჟიმის ლიბერალიზაციას განსაკუთრებით ბაზრების პრივატიზაციის შედეგად. ამ მხრივ, გლობალიზაცია ქმნის შესაძლებლობებს რათა განვითარებადმა ქვეყნებმა ვაჭრობისა და ინვესტიციების დახმარებით მიაღწიონ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. უცხოელი ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ აქტივებსა და რესურსებს, ხოლო ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნები კი სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ერთვებიან საერთაშორისო წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში.

გარდა ამისა გავეცანი ქართველი ავტორების რამდენიმე დისერტაციას, გამოცემებსა და მონოგრაფიებს. მართალია უშუალოდ ჩემი თემის სპეციფიკას არცერთი მათგანი არეხებოდა (გარდა ერთისა: ქ. ჯანჯღავა "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა რეციპიენტ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე), მაგრამ ისეთი ნაშრომების გაცნობამ როგორებიცაა: "საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები", "საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში"," საინვესტიციო საქმიანობის საფინანსოსაკრედიტო რეგულირება საქართველოში", მომცეს შესაძლებლობა აკადემიურ სტილში ჩამომეყალიბებინა აზრი საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს შესაძლებლობასა და დაბრკოლებებზე.

ვფიქრობ, მიმართულების განსაზღვრასა და თემის სტუქტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია საგაზეთო სტატიებმა და პუბლიკაციებმა, რომლებიც დამოუკიდებელი ექსპერტების აზრს გადმოსცემდნენ ჩემს მიერ განსახილველი საკითხის შესახებ. მართალია ისინი არ წარმოადგენენ სამეცნიერო ნაშრომებს, მაგრამ მე მომეცა იმის საშუალება, რომ გამეანალიზებინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ არსებული შეხედულებები სხვა კუთხით, გამომევლინა ცდომილებები მათ მიერ ჩამოყალიბებულ აზრში და ლოგიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებზე ამეგო საკუთარი მსჯელობა.

თემაზე მუშაობისას მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ ავიღე ის სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც ინვესტორების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. გავეცანი და საინვესტიციო გარემოს ანალიზისას ძირითად წყაროდ გამოვიყენე საქართველოში მოქმედი კანონები: "საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" და

"საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ".
განსაკუთრებული მნიშვნელობის საინფორმაციო წყარო ჩემი თემის შემთხვევაში იყო საქართველოს სტატისტიკურ ეროვნული ბიუროს მონაცემები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის (როგორც ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებლის) სტატისტიკის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას ძირითადად რაოდენობრივი ხასიათი გააჩნდა და მათი გაანალიზების შედეგადმომეცა საშუალება თეორიული მსჯელობისთვის მეტად დამაჯერებელი ხასიათი მიმეცა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა ჩემს მიერ გამოყენებული ლიტერატურის სიაში ვხვდებით რამდენიმე კომპანიის ვებგვერდის მისამართს, რადგან ამ გზით მოვიპოვე ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციების სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ.

გამოყენებული მეთოდოლოგია: რაც შეეხება ჩემს მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიას იგი ძირითადად მოიცავს ლოგიკურ მსჯელობას და ანალიზს, რაც მოიცავს სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზს, გრაფიკების, დიაგრამების აგებას, დროითი მწკრივების მიხედვით ტენდენციების გამოვლენას, საანალიზო მაჩვენებლის გაანგარიშებას, მათი გამოყენების შედაგად ლოგიკური დასკვნის გამოტანას. ძირითადად გამოყენებული მაქვს ლიტერატურული წყაროები ქართულ ენაზე და რამდენიმე ინგლისურ ენოვანი წყარო.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეფინიცია

სანამ უშუალოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლზე დავიწყებდეთ საუბარს, საწყის ეტაპზე აუცილებელია განვმარტოთ მისი არსი. ზოგადად ინვესტიცია გულისხმობს რეალურ ეკონომიკურ რესურსს, რომელიც მიმართულია ახალი კაპიტალის შექმნისკენ, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა. ახალი კაპიტალის მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი გზა ეროვნული დანაზოგების გაზრდაა, თუმცა როდესაც ქვეყანაში არ არსებობს საკმარისი რაოდენობის დანაზოგები, ჩნდება მეორე ალტერნატივა და ეს არის უცხოური ინვესტიციები. განასხვავებენ ორი სახის უცხოურ ინვესტიციას: პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და პორტფელური უცხოური ინვესტიცია. გრეგორი მენქიუს მიხედვით "კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და წარმმართველია უცხოური ფირმა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეწოდება".

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიხედვით "პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, არის კატეგორია, რომელიც გულისხმობს ინვესტორის მიერ (პირდაპირი ინვესტორი) ინვესტირებას სხვა ქვეყნის ეკონომიკაში, კონკრეტულად საწარმმოში (პირდაპირი ინვესტირების საწარმო), რომელიც არის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი და ინვესტორს გააჩნია გრძელვადიანი ინტერსები.

პორტფელური ინვესტიცია კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციისგან აბსოლუტურად განსხვავდება. ინვესტიციის ეს ფორმა მართალია უცხოური ფულით არის დაფინანსებული მაგრამ საქმიანობას ადგილობრივი მოსახლეობა უძღვება, მაშინ როდესაც პირდაპირი ინვესტორი საწარმოს მართვაში მონაწილეობას მინიმუმ 10%იანი წილით ახორციელებს.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უკავია. ინვესტიცია (საქონლისა და მომსახურების წარმოებაში კაპიტალის ჩადება) შეიძლება იყოს შიდა ან საგარეო (უცხოური). ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის.

დღეს ბევრი ქვეყანა ეჯიბრება ერთმანეთს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. შეჯიბრი ინვესტირებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შეთავაზებაში გამოიხატება. ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციისგან თავისუფლება და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის კაპიტალის დაბანდება უცხოურ კომპანიაში ამ კომპანიის საკუთრებაზე და აქტივებზე მკაცრი კონტროლის განხორციელების მიზნით. სხვაგავარად, კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და მმართველი უცხოური ფირმაა, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეწოდება. მაგალითად, ქართულ კომპანია „ყაზბეგს` შეუძლია ლუდის ქარხნის აშენება ან შეძენა სომხეთში. მოკლედ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაკავშირებულია საზღვარგარეთ ახალი საწარმოების შექმნასა ან მოქმედ საწარმოთა შეძენასთან, რომლებიც სათაო კომპანიის ფილიალები ხდებიან; ინვესტიციას, რომელიც ფინანსდება უცხოური ფულით, მაგრამ იმართება ქვეყნის მოქალაქეების მიერ, უცხოური პორთფელური ინვესტიცია ეწოდება. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია სომხეთის კორპორაციის აქციების შეძენა (ანუ კორპორაციის მფლობელობის წილის შეძენა). ამ შემთხვევაში სომხურ კორპორაციას საშუალება ეძლევა აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ახალი ქარხნის აშენებისათვის გამოიყენოს. ორივე შემთხვევაში ქართველები გასცემენ ფულად რესურსებს, რომლებიც საჭიროა სომხეთში კაპიტალის მარაგის გაზრდისათვის. ე.ი. ქართული დანაზოგები სომხური ინვესტიციების დაფინანსებისათვის გამოიყენება.

როგორც ითქვა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს სხვა ქვეყანაში საკუთრების ფლობას და მართვას. აშშის კანონმდებლობის თანახმად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ინვესტორი ფლობს უცხოური კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების არა ნაკლებ 10%ს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ღირსებებია: დიდი მოგების მიღების შესაძლებლობა; ოპერაციის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; ადგილობრივი ბაზრის შესახებ ცოდნის შეძენა; ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერებისაგან თავის არიდების შესაძლებლობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლოვანებანია: საწარმოო სიმძლავრეებში და მართვის სისტემაში დიდი ინვესტიციების აუცილებლობა; პოლიტიკური რისკებისადმი მიდრეკილების შედარებით დიდი დონე; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდულობის სისუსტე; მართვის შედარებისთ რთული სისტემა.

პირდაპირ ინვესტირებას კომპანიები მიმართავენ მაშინ, როცა მათ აქვთ ექსპორტის გამოცდილება, საზღვარგარეთის ბაზარი დიდია და კარგადაც ვითარდება. მაგალითად, ფინური მობილური ტელეფონების ფირმამ „ნოკიამ“ ჩინეთის ბაზარზე, თავდაპირველად, შეაღწია ერთობლივი საწარმოს შექმნით. შემდგომში მან ყველა ადგილობრივი ერთობლივი საწარმო გააერთიანა და დაიწყო DMA ტიპის ტელეფონების ადგილობრივი წარმოება.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ეკონომიკებში, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა

ინვესტიციების ზრდა უშუალოდ კაპიტალის რაოდენობის ზრდასთან ასოცირდება. განსხვავებით სხვა საწარმმოო ფაქტორების, როგორებიცაა: ადამიანური და ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი წარმოების წარმოებული ფაქტორია, შესაბამისად მის რაოდენნობაზე ზემოქმედბა საზოგადოებას და ეკკონომიკურ სუბიქტებს შედარებით მარტივად შეუძლიათ.დღეს მზარდი კაპიტალის რაოდენობა საფუძველია მომავალი ეკონომიკური ზრდის. მაგრამ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებად.

ქვეყნებში კაპიტალის საწყის ზრდას "მკვეთრი ზრდის ეფექტი" ახასიათებს, რაც გულისხმობს რომ დაბალ განვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციების საწყისი ზრდის შედეგად, ეკონომიკური ზრდის ტემპის მაღალ მაჩვენებლებს აქვს ადგილი, მაშინ როცა მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები გაცილებით დაბალი. თუმცა სტაბილურია.

პირდაპირი უცცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაში განსაკუთრებული ასპექტია ის ფაქტი, რომ იგი როგორც საწარმოო ასევე მომსახურების მიმართულებით წამყვანი ტექნოლოგიების ქვეყნაში შემოდინების საშუალებაა, ინვესტიციების მზარდი რაოდენობა დადებითი გარემობაა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ თუ ქვეყანა მიმზიდველია საერთაშორისო ინვესოტორებისათვის, შესაბამისად მას გააჩნია ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის, ამასთან სამართლებლივი და ინფრასტუქტურული გარემოს მისაღები დონეები. გარდა ამისა პირდაპირ უცხოური ინვესტიციას ახორციელებენ ინვესტორები, რომლებიც კონკურენტუნარიანები არინან გლობალურ დონეზე,მათი ადგილობრივ ბაზარზე გამოჩენა იწვევს კონკურენციის ზრდას, რაც დანარჩენ ფირმებს უბიძგებს ეძიონ მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გასაზრდელად ინოვაციური გზები, დაზოგონ რესურსები, დახვეწონ მართვის სიტემები და შესაბამისად აამაღლონ საერთო კეთილდღეობის დონე.

ეკონომისტების პრაკაშ ლუნგანისა და ასაფ რაზინის სტატიის „how Beneficial is foreign Investment for Developing Countries?" არგუმენტები, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სასარგებლოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგია: "პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მიმღებები ხშირად უზრუნველყოფენ თანამშრომლების გადამზადებას ახალი საქმის ასათვისებლად, რასაც წვლილი შეაქვს ქვეყნის ადამიანური კაპიტალის ზრდაში, ამასთან პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების ზრდით გამოწვეული მოგების ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას"

ზემოთ აღნიშნული გარემოებები ხაზს უსვამს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით მხარეებს, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს და ერთმნიშვნელოვნად პუი სროგორც აბსოლუტურად დადებითი მოვლენის აღქმა დაუშვებელია, აუცილებელია ადეკვატურად გაანალიზდეს უარყოფითი შედეგები, რომელიც შეიძლება თან ახლდეს უცხოური ფინანსური რესურსების ქვეყანაში შემოსვლას. ბიზნესგარემოში არსებობს მრავალი საფრთხე, რისკი და განუსაზრვრელობის გარკვეული დონე, შესაბამისად ლოგიკურია, რომ ყველა საინვესტიციო გადაწყვეტილება ვერ იქნება მომგებიანი. ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირი უცხოური ინესტიციებს შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰქონდეს განვითარებადი ქვეყნებისათვის, მაგალითად თუ ის აზიანებს ბუნებრივს გარემოში, უსაფრთხოების სტანდარტების გაუთვალისწინებლად წარმართავს თავის საქმიანობას ან ახდენს სამუშაო ძალის ექსპლუატაციას, ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაო პირობებით ან ანაზღაურების შეუსაბამო სისტემით, მითუმეტეს რომ გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ განუვითარებელია სამართლებრივი სფერო, რომელიც მსგავს საკითხებს არეგულირებს.[1]

[1] გრეგორი მენქიუ "ეკონომიკის პრინციპები" (დიოგენე,2008) ; გვ.5332. Benchmark Definition of foreign Direct Investment ;(2008); გვ 17https://www.oecd.org/daf/inv/investmentstatisticsandanalysis/40193734.pdf
"how Beneficial is foreign Investment for Developing Countries" ; Prakash Loungani and Assaf Razin;June 2001,Number 2 ; http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/06/loungani.htm

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივები

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამდენადაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. ცნობილი შვედი ეკონომისტის მ. ბლომსტორმის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებს აძლევს საშუალებას, იოლად დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებსა და უნარს, აწარმოონ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ახალ ტექნოლოგიათა მიღებაა ძირითადი მიზანი, რის გამოც ქვეყნები აქტიურად ცდლიობენ მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ქეივსი აღნიშნავს, რომ მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის დადებით ეფექტთა შორის აღსანიშნავია მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, დასაქმებული პერსონალის მომზადება და წარმოების საერთაშორისო ქსელების წარმოშობა. ამერიკელი ეკონომისტების მიულერისა და გოიჩის მოსაზრებით, მასპინძელი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დახმარებით ზრდის შრომის მწარმოებლურობას და დასაქმებას, სტიმულს აძლევს ინოვაციების დანერგვას და ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

განვიხილოთ მიმღები ქვეყნისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი შედეგები:

- ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ. ფართო გაგებით, ტექნოლოგია ნიშნავს მართვის პრაქტიკის, წარმოების მეთოდებისა და კოდიფიცირებული ნოუ-ჰაუს გადაცემას, რითაც ფირმა ქმნის ახალ პროდუქტს. ტექნოლოგიათა გადაცემა მნიშვნელოვანი არხია, რომლის მეშვეობითაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის პოზიტიურ გარე ფაქტორს მიმღებ განვითარებად ქვეყანაში. ტეკ-ები მასპინძელ ქვეყანებში ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი ფირმები ზრდიან მწარმოებლურობას, იქმნება ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინოვაციები, ყოველივე ეს ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა, ტეკ-ებს მსოფლიოში მაღალკვალიფიციურ კადრებზე მიუწვდებათ ხელი, რომლებიც ფლობენ თანამედროვე უნარ-ჩვევებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც გადაეცემა უცხოურ ფილიალებს სპეციალური მოსამზადებელი კურსების შექმნით;

ხელმისაწვდომობა საქონელსა და მომსახურეობაზე - ფირმები, რომლებიც აბანდებენ კაპიტალს საზღვარგარეთ, უზრუნველყოფენ დაბანდების ქვეყანას საქონლითა და მომსახურებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაბანდებით ასტიმულირებენ პროდუქციის დივერსიფიკაციას ახალ ბიზნესპროექტებში, ამით

მცირდება დამოკიდებულება ადგილობრივ ბაზრებზე, რომელიც ხასიათდება პროდუქციის ვიწრო ასორტიმენტით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას. ტეკ-ები დადებითად ზემოქმედებენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე, ხელს უწყობენ ინვესტიციათა რეციპიენტ ქვეყნებში წარმოებას, გავიდნენ შიდა ბაზრიდან საგარეო ბაზრებზე.

ადგილობრივი მონოპოლიების ძალაუფლების შეზღუდვა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს შეუძლიათ შეცვალონ არაეფექტიანი, მაგრამ მონოპოლიური ძალაუფლების მქონე ადგილობრივი ფირმები უფრო ეფექტიანი უცხოური კომპანიებით და ამით გაზარდონ მომხმარებელთა კეთილდღეობა. თუ მასპინძელი ქვეყნის კონკრეტულ დარგში დომინირებს ერთი ან რამდენიმე ფირმა. უცხოური კომპანიების შემოსვლის შემდეგ ადგილობრივ ფირმებს უჩნდებათ მძლავრი კონკურენტები. ეს ხელს უწყობს მოცემულ დარგში შემოსავლების ზრდასა და ფასების შემცირებას. ამრიგად, საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა განიხილება, როგორც ერთგვარი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა;

ეკონომიკური ზრდა და დასაქმება - როდესაც უცხოური ფირმა მიმღებ ქვეყანასთან დაკავშირებულია გრძელვადიანი ვალდებულებებით, მას შეუძლია, მოცემული ქვეყანა უზრუნველყოს სტაბილური დასაქმებით. სამუშაო ადგილების შექმნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი შედეგია, რამდენადაც ქვეყანა ხდება უფრო პროდუქტიული და შესაბამისად იზრდება მისი კონკურენტუნარიანობა. საბოლოო ანგარიშით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს დასაქმების ზრდას მასპინძელ ქვეყნებში. დადებითად ზემოქმედებს ადგილობრივ ფირმებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, როგორც ტრენინგებით, ასევე მოწინავე ტექნოლოგიათა გადაცემით.

დღეისათვის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მთავრობაა დაინტერესებული მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამდენადაც ის პოზიტიურად ზემოქმედებს მთლიანი შიგა პროდუქტზე (მშპ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რომლის როლიც ფასდაუდებელია ეკონომიკის ბაზის განვითარებაში ადამიან-კაპიტალის ზრდით, თანამედროვე მენეჯერული ჩვევების პრაქტიკაში დანერგვით, უფრო ზოგადად კი, უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორს თუ მასპინძელ ქვეყანაში ხორციელდება ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა. ამ კონცეფციით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა და ექსპორტი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. აღნიშნული მოსაზრება აქტუალურია განსაკუთრებით მცირე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან შეზღუდული შიდა ბაზრებით. პირდაპირი ინვესტიციების დადებითი საგარეო ეფექტიანობა დაკავშირებულია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასთან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში, პირველ რიგში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ, მცირემასშტაბიან ეკონომიკებში (ტერიტორიულ-

დემოგრაფიული და ბუნებრივი რესურსების მაჩვენებლით). მცირე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინვესტიციათა მოზიდვა დაკავშირებულია სიძნელეებთან, მაგალითად, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესებთან. საშუალო და მსხვილი გარდამავალი ეკონომიკები ხასიათდებიან შედარებით მეტი ეკონომიკური რესურსებით და შესწევთ უნარი, დამოუკიდებლად განახორციელონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საკუთარი ძალისხმევით გაუწიონ კონკურენცია უცხოელ კონკურენტებს, იყვნენ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, დაიცვან მათი ინტერესები საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო ბაზებით განავითარონ უახლესი ტექნოლოგიები და შექმნან ეროვნული ინოვაციური პროექტები.

თეორიულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში დადებითად ზემოქმედებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. სხვადასხვა ეკონომიკური ზრდის თეორიები სხვადასხვანაირად განმარტავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ თეორიაში სოლოუმ განმარტა, რომ დანაზოგისა და მოსახლეობის ზრდის ტემპი (აღნიშნულ მოდელში მოსახლეობის და დანაზოგის ზრდის ტემპი წარმოადგენს ეგზოგენურ ფაქტორს) განსაზღვრავს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების სტაბილურ დონეს. სოლოუს თანახმად, ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დანაზოგებისა და მოსახლეობის ზრდის ტემპით, ამიტომ ისინი აღწევენ შემოსავლების სხვადასხვა დონეს. ნეოკლასიკურ მოდელში, თუ ქვეყანა ხასიათდება მაღალი შიდა დანაზოგით, ეს ხელს უწყობს ქვეყნის გამდიდრებას და პირიქით, მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპი უფრო აღარიბებს ეკონომიკას. აღნიშნული თეორიის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად ზემოქმედებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ზრდის სოციალურ კეთილდღეობას, რამდენადაც უცხოელ ინვესტორებს შემოაქვთ კაპიტალი მიმღებ ქვეყანაში. კაპიტალის ნაკადები და მოგების რეინვესტირება გაზრდის მთლიან შიდა დანაზოგს და სამთავრობო შემოსავლებს. სოლოუ ამტკიცებდა, რომ კაპიტალის ფორმირება ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობას ინვესტიციათა ზრდის დინამიურ პროცესში. ის განიხილავს ეკონომიკას, რომელიც აწარმოებს ერთგვაროვან პროდუქციას კაპიტალის და შრომის გამოყენებით. Mნეოკლასიკურ თეორიაში, მოკლევდიან პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემცირებული შემოსავლები ფიზიკურ კაპიტალზე და ეგზოგენური ტექნოლოგიური ცვლილებები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. თუმცა ის განიხილება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტექნოლოგიებზე ზემოქმედებენ მუდმივად და პოზიტიურად.

ენდოგენური ზრდის მოდელში (ეკონომიკური ზრდის ახალი თეორია) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტიმულს აძლევს მიმღები ქვეყნის

პროდუქციის წარმოების პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელთა მეშვეობით ქვეყანას გადაეცემა მოწინავე ტექნოლოგიები, ანაზღაურებს ფიზიკურ კაპიტალზე შემცირებულ მოგებას და ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდის შენარჩუნებას გრძელვადიანი ზრდის ტრაექტორიაზე. ნეოკლასიკური ზრდის მოდელისგან განსხვავებით, ენდოგენური ზრდის მოდელში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფენ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით სხვადასხვა ტრენინგების მეშვეობით და უნარჩვევების შეძენით. მართვის თანამედროვე პრაქტიკის და ორგანიზაციული მექანიზმების დანერგვით, მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების ხელშეწყობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. მეცნიერულ-ტექნიკური კვლევები, რომელთაც აფინანსებენ ტეკ-ები ხელს უწყობს გრძელვადიან პერიოდში მასპინძელი ქვეყნის ადამიან-კაპიტალის განვითარებას.

ჰიმერის მიერ წარმოდგენილ ინდუსტრიალიზაციის თეორიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაცილებით მეტია ვიდრე უბრალოდ კაპიტალის გადაცემის პროცესი, უცხოური ინვესტიციების მეშვეობით აქტივები იცვლება საერთაშორისო დონეზე. ჰიმერის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს "კაპიტალის პაკეტი" ეს უკანასკნელი კომბინირებულად მოიცავს: კაპიტალს, მენეჯმენტს და მოწინავე ტექნოლოგიებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფს რესურსების, მათ შორის მენეჯერული უნარების, მარკეტინგის, ნოუ-ჰაუს გადაცემას. ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორი ინდუსტრიალიზაციის თეორიის თანახმად, ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ემპირიული კვლევები ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციისა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების არსებობას. თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციათა თეორიული მოდელები ხაზს უსვამს რეციპიენტი ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ზეგავლენას (მაგალითად: მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. ყველა აღნიშნული ფაქტორი მთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციაზე და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ს. ზალცის მიერ 1970-1980 წწ-ში ჩატარებული ემპირიული კვლევა, რომელიც მიმართული იყო, გამოეკვლია ურთიერთდამოკიდებულება პირდაპირი უცხოური ინვესტიციისა და ეკონომიკურ ზრდას შორის მესამე სამყაროს ქვეყნებში, ადასტურებს ნეგატიური ურთიერთდამოკიდებულების არსებობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. მისი მტკიცებით, მასპინძელი ქვეყნის შემოსვალების დონე განიცდის სტაგნაციას იმ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების განხორციელების შედეგად ადგილი აქვს მონოპოლიზაციას და ტრანსფერტულ ფასებს, რაც გამოიწვევს სამუშაო ძალის არასაკმარის გამოყენებას და შიდა მოხმარების მოთხოვნის ჩამორჩენას, საბოლოოდ კი ყოველივე ეს განაპირობებს ეკონომიკის სტაგნაციას.

შეხედულება, რომლის თანახმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უარყოფითად ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე ეფუძნება არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობას. არასრულყოფილი ინდუსტრიული ბაზრები, იოლი წვდომა კაპიტალსა და საფონდო ბირჟებზე, უცხოელ ინვესტორს აძლევს საშუალებას ისარგებლოს ადგილობრივ ფირმებთან შედარებით მეტი უპირატესობით. სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები დაკავშირებულია ნაწილობრივ ადგილობრივი წარმოებების გაკოტრებასთან, ტეკ-თა საბაზრო ძალაუფლების გაფართოებასა და ბაზირების ქვეყანაში მოგების რეპატრირებასთან. დღეისათვის ფართოდ განხილვის საგანს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორს ქვეყნებისთვის, რომლებიც ხასიათდებიან საკმარისად განვითარებული ეკონომიკური გარემოთი: 1. ქვეყნები, სადაც მოიპოვება კვალიფიციური კადრები და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მაღალია, ადგილობრივი ფირმები უკეთ სარგებლობენ უცოხური კომპანიების მიერ გადაცემული ტექნოლოგიებით. 2. რაც უფრო ღიაა ქვეყნის ვაჭრობა მით ნაკლები შეზღუდვები წარმოიშობა საქონლის იმპორტზე, რითაც სარგებლობენ უცხოელი ინვესტორები. 3. კარგად განვითარებული ინსტიტუციური გარემო განაპირობებს ნოუ-ჰაუსა და ტექნოლოგიების გადაცემას უცხოური კომპანიების ფილიალებში. საბოლოოდ კი, სუსტად განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნები დადებითი შედეგებით სარგებლობენ მათ ეკონომიკაში უცხოელი ინვესტორის არსებობით.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დაინტერესებულნი არიან, მოიზიდონ უცხოურ ინვესტიციათა დიდი ნაკადები, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნული ქვეყნები ხასიათდებიან კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. საქართველომ, ყოფილი სსრკის ქვეყნებიდან, პირველმა განახორციელა ღია პოლიტიკა უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით. XX ს-ის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან უცხოური კაპიტალის შემოდინებამ და მშპ-მა დაიწყო ზრდა. 2000 წელს მოხდა ლარის კურსის სტაბილიზება, ასევე წლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 242.5 მლნ აშშ დოლარამდე 1997 წელს და მიაღწია 265.3 მლნ დოლარს 1998 წელს.

უცხოური კაპიტალის ზრდა განაპირობა ძირითადად ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულმა სამუშაოებმა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მცირე ნაკადი დაფიქსირდა 2003 წელს _ 330.89 მლნ დოლარი. შემდგომ განხორციელდა გარკვეული რეფორმები საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და ინვესტიციათა ბაზარზე შემოსვლის ბარიერების მოხსნის მიმართულებით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შედეგად, ყველაზე დიდი ინვესტიციათა ნაკადები საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირდა 2007 წელს _ 2012.80 მლნ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატებოდა 19.8 %-ით. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა დაახლოებით 10.1%-ით _ 2008 წელს და შესაბამისად 8.4 %-ით _ 2009 წელს. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და აგვისტოს ომის მოვლენებმა ქვეყანაში ეკონომიკური დეპრესია გამოიწვია, რამდენადაც ასეთ პირობებში რთულია, მოიპოვო უცხოელი ინვესტორების ნდობა. მაგალითად, კომპანიამ "ყაზმუნაიგაზ"-მა უარი თქვა 1 მლრდ დოლარის დაბანდებაზე საქართველოში. გარდა ამისა, ამერიკულმა კომპანიამ _ "ქლეარ სტრიმ ჰოლდინგ"-მა გააუქმა შეთანხმება განეხორციელებინა ინვესტიცია და უზრუნველეყო ქვეყანა უკაბელო ინტერნეტით.[2]

გლობალური ფირმების ინტერესები შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი იყოს, მაგრამ ძირითადი მოტივები, რომლებიც ეკონომიკურ სუბიექტებს უბიძგებენ საკუთარი სახსრები სხვა ქვეყანებში დააბანდონ დანინგის "ინვესტიციების მოზიდვის თეორიის" მიხედვით იყოფა ოთხ კატეგორიად:

რესურსების მაძიებლები;

ეფექტიანობის მაძიებლები;

ბაზრის მაძიებლები;

სტრატეგიული აქტივების მაძიებლები.

შესაბამისად მათ განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ.

რესურსების მაძიებელი ინვესტორები თავიანთ სახრებს ძირითადად აბანდებენ დაბალტექნოლოგიურ და საშუალოტექნოლოურ, ან ტრადიციულად ექსპორტზდე ორიენტირებულ დარგებში. ეფექტიანობის მაძიებლები კაპიტალდაბანდებებს ახორციელებენ მაღალტექნოლოგიურ და საშუალომაღალტექნოლოგიურ დარგებში, მათთვის მნიშვნელოვანია უცხოურ ბაზარზე გასვლა, რომლის საწყის ეტაპს, როგორც

[2] ქრისტინა ჯღანჯღავა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)
https://www.tsu.ge/data/file_db/library/jganjgava_investition.pdf

ვიცით ექსპორტი წარმოადგენს. ბაზრის მაძიებლები კი ადგილობრივი ბაზრების ათვისებაზეა კონცენტრირებული.

საქართველოს მაგალითზე სტრატეგიული აქტივიების ძიების მიზნით განხორციელებული პირდაპი უცხოური ინვესტიციები არ შეინიშნება. სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოტივაციის ამ სამი კატეგორიიდან საქარველოში განხორციელებული ინვესტიციები უპირველეს ყოვლისა ბაზრის მაძიებლების ინტერესებიდან მოდის, ინვესტიციები განსაკუთრებით ჭარბობს მაღალი უკუგების მქონე დარგებში ისეთები როგორებიცაა: ტრანსპორტი, მშენებლობა, ენერგეტიკა. მნიშველოვანია ეფექტიანობის მაძიებელი ფირმების მიერ განხორციელებული ინვესტიციები, მსგავსი ფირმები ცდილობან საწარმოო დანახარჯების შემცირებას და ამისთვის ეძებენ იაფ რესურსებს, საქართველოში კი მათ შეუძლიათ განახორციელონ მომგებიანი ინვესტიციები, თუნდაც იმ გარემობეის გამო, რომ ჩვენთან არსებული სამუშაო ბაზაარი საშუალებას იძლევა შრომის ზღვრული პროდუქტის ფასი იყოს საკმაოდ დაბალი.[3]

[3] წყარო: ევგენი ბარათაშვილი, დალი მაგრაქველიძე "საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები"http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgibin/library.exe

ქრისტინე ჯღანჯღავა; „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“http://www.nplg.gov.ge/dlibrary

1.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები

საფონდო ბირჟის განუვითარებლობა - საფონდო ბირჟა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რომელიც მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა მოკრძალებული მასშტაბებით გამოირჩევა განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. საქართველოს საფონდო ბირჟის 2013 წლის მონაცემებით, საშუალო დღიურმა ბრუნვამ მხოლოდ 7 538 ლარი შეადგენა, რაც საკმაოდ სუსტი მაჩვენებელია, შეიძლება ითქვას, რომ - კატასტროფულიც. თვითონ პრობლემა კი, თუ რატომ ვერ ვითარდება საქართველოს საფონდო ბირჟა, თავად მისი ფუნქციონირების ფორმაში იმალება. საქართველოს საფონდო ბირჟა, ეს არის ერთადერთი „ფუნქციონირებადი" ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. თავის დროზე ის ამერიკელი ექსპერტების დახმარებითა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და ფუნქციონირება 2000 წლის მარტში დაიწყო.

ერთი შეხედვით, საფონდო ბირჟაზე ყველაფერი მოწესრიგებულია: ვაჭრობა მიმდინარეობს 133 კომპანიის აქციებით, რომელთა ერთობლივი კაპიტალიზაცია თითქმის 1 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება; დასაქმებულია 7 ბროკერი, 3 რეგისტრატორი და იმართება 150 სესიამდე წელიწადში; გათვალისწინებულია თანამედროვე საფონდო ბირჟისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები: „დილინგ რუმი", თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები და ა.შ., თუმცა საშუალო დღიური ვაჭრობა მხოლოდ $4 543 შეადგენს, ე.ი. ხშირად ამ თანხაზე ნაკლებიც ივაჭრება. განვიხილოთ ქართული საფონდო ბირჟის 1 სავაჭრო დღე - 2013 წლის 8 აპრილი: გარიგებათა რაოდენობა - 4, გარიგების მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) – 520 000; გარიგებათა მოცულობა ლარებში - 4 190 ($2 540). საკმაოდ სუსტი მაჩვენებლებია. განვიხილოთ სხვა სავაჭრო დღე, მაგალითად - 2009 წლის 30 მარტი (საიუბილეო 1000-ე სესია): გარიგებათა რაოდენობა - 0, გარიგების მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) – 0; გარიგებათა მოცულობა ლარებში - 0. რაც არ უნდა გასაკვირო იყოს, აღნიშნულ დღეს არავითარი პანიკა არ მოჰყოლია, რადგანაც ქართული საფონდო ბირჟის ისტორიას არაერთი ათეული ასეთი „ჩავარდნილი" დღე ახსოვს თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში.

მეორე მხრივ, ქართულ საფონდო ბირჟას „ზეიმის" დღეებიც ახსოვს, როცა გარიგებათა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. საერთო სურათი კი შემდეგია (2013 წლის მონაცემებით): გარიგებათა რაოდენობა - 26 642, გარიგების მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) – 234,5 მლნ; გარიგებათა მოცულობა ლარებში - 268,2 მლნ, მაშინ, როდესაც ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ზემოთ

ჩამოთვლილი ოპერაციების განხორციელება ქართულ საფონდო ბირჟას რამდენიმე წუთის განმავლობაში შეუძლია (და არა 12 წლის განმავლობაში). რაც არ უნდა გასაკვირო იყოს, საფონდო ბირჟის დამფუძნებლებს სრულიად სხვა წარმოდგენა და გეგმები ჰქონდათ ქართული საფონდო ბირჟის პერსპექტივებთან დაკავშირებით, რაც აბსოლუტურად განსხვავდება დღევანდელი რეალობისაგან. 2011 წლის განმავლობაში საქრთული საფონდო ბირჟის ინდექსი (GSX) საკმაოდ - 121,75-დან 78,83 დაეცა 2012 წლის დასაწყისამდე (35,3%-იანი ვარდნა). 2013 წლის აპრილის მონაცემებით კი, ოდნავ გაუმჯობესდა და 87,51-ს მიაღწია. თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც საკმაოდ სუსტია, რადგანაც GSX-ის საშუალო მაჩვენებელი 100- ზეა გათვალისწინებულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაჩვენებელი საშუალოზე დაბალს უტოლდება. ცნობისათვის, ისტორიულად მაღალი მაჩვენებელი, რომლისთვისაც GSX-ს ოდესმე მიუღწევია, არის - 268 (2007 წლის ივლისი), ხოლო მინიმალური - 54,50 (2010 წლის მარტი).

რატომ არის ქართული საფონდო ბირჟა ასეთ მძიმე ვითარებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საკითხის უფრო დეტალური განხილვაა საჭირო. როგორია მთავრობის პოზიცია და ქმედებები საფონდო ბირჟის მხარდასაჭერად, რა პოლიტიკა აქვთ ადგილობრივ კომპანიებს ქართულ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობასთან დაკავშირებით? და ა.შ. პასუხი ამ და სხვა მსგავს კითხვებზე მარტივია და ის საქართველოში ბიზნესის წარმართვის დაბალ გამოცდილებასა და განვითარებულობაში გამოიხატება. ჩვენი აზრით, ქართული საფონდო ბირჟის მოცემული დაბალი აქტიურობა არის მის გარეთ განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების სიდიდე, რომელიც ექსპერტული შეფასებით დაახლოებით 7-7,5-ჯერ აღემატება საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ გარიგებათა მოცულობასა და მის შესაბამის ღირებულებას ლარებში. აღნიშნული შედეგი მიღებულ იქნა 2008 წელს, იმდროინდელი ეკონომიკის მინისტრის - კახა ბენდუქიძის ინიციატივით კანონში შეტანილი ცვლილებების შემდგომ, როდესაც კანონში სიტყვათა თანაწყობა: „სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით გარიგებები უნდა დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟაზე", შეიცვალა შემდეგი ფრაზით: „ფასიანი ქაღალდები საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლოა ივაჭრებოდეს როგორც საფონდო ბირჟაზე ასევე, მის გარეთაც". შედეგად, ბიზნესმენებმა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ქართული საფონდო ბირჟის გვერდის ავლით დაიწყეს და შეასუსტეს მისი მოზიციები, რაც, ერთი მხრივ, ბიზნესისათვის დამატებითი სიმარტივის შექმნის კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ, ხოლო, მეორე მხრივ, კი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ცვლილება კანონში შეტანილი იყო ბიზნესის „დასაყაჩაღებლად", წილების მარტივი გადანაწილებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საქართველოს ქართული საფონდო ბირჟის გამოსყიდვის წინადადებით NASDAQ OMX-ის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. თითქმის 1 წლის განმავლობაში ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ფონდის

აქციონერებთან და, როგორც იქნა, შეთანხმებასაც მიაწიეს. თუმცა ზუსტად ამ პერიოდს დამეთხვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომელმაც მოლაპარაკებების გაყინვა გამოიწვია. პროექტი დღესაც გაყინულია, თუმცა NASDAQ OMX მზადაა, კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შესვლის შემდგომ, მოლაპარაკებები განაახლოს. თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებებს ძლიერ ეწინააღმდეგება საბანკო ლობი, რაც გასაკვირი ნამდვილად არაა, გამომდინარე იქედან, რომ საფონდო ბირჟის გაძლიერებას, ფინანსური ნაკადების საფონდო ბირჟაზე გადანაცვლების გზით, შესაძლოა საბანკო სექტორის შესუსტებაც მოჰყვეს. რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიციას, ხელისუფლებაში მოსული ახალი მმართველი ძალა მხარს უჭერს ქართული საფონდო ბირჟის განვითარებას და კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანას აპირებს, თუმცა რეალური ნაბიჯები ჯერ არ განუხორციელებია. მთავრობის მხრიდან აგრეთვე იყო საუბრები ქართული საფონდო ბირჟის შესაძლო გაერთიანებასთან აღმოსავლეთ ევროპულ საფონდო ბირჟებთან, კერძოდ, ჩეხურ და პოლონურ ბირჟებთან. თუმცა არც ამ ინიციატივის განხორციელებაზე მიმდგარა ჯერ რეალურად საქმე.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ქართულ საფონდო ბირჟას აქვს ეს არის მისი მარეგულირებლის როლი. 2008 წლამდე ასეთად დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო „ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია" გვევლინებოდა, რომელიც საკაოდ წარმატებულად ართმევდა თავს თავის მოვალეობებს და სწორედ მის არსებობას უკავშირდება ქართული საფონდო ბირჟის მცირე, თუმცა მაინც წარმატებები. 2008 წლიდან კი საფონდო ბირჟას ახალი მარეგულირებელი - ეროვნული ბანკი, მიუჩინეს, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი შეცდომა გახლდათ და მიმართული იყო საფონდო ბირჟის შესუსტებისკენ. გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული ბანკი, პირველ რიგში, ადგილობრივი ბანკების ინტერესებს იცავს და არა - საფონდო ბირჟის, ეს უკანასკნელი მის არაპირდაპირ კონკურენტებთან, ქართულ კომერციულ ბანკებთან არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა. მიუხედავად ყველა პრობლემისა, ქართულ საფონდო ბირჟას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და ადმინისტრაციის სწორი ნაბიჯების შემთხვევაში, რეალურად ძალუძს გარკვეული წარმატების მიღწევა, რომელიც აუცილებლად შეუწყობს ხელს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებას ქვეყანაში.

სარგებლის მაღალი განაკვეთები - საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ქვეყანაში არსებული საპროცენტო განაკვეთების ოდენობაა. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში (გამონაკლისი არც საქართველოა), საპროცენტო განაკვეთი კომერციულ ბანკებში საკმაოდ მაღალია, რაც მისდამი ხელმისაწვდომობასა და, შესაბამისად, ბიზნესის განვითარებას ართულებს.

ნიშანდობლივია, რომ წინა საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთებმა ქართულ კომერციულ ბანკებში მნიშვნელოვნად დაიკლო, თუმცა მაინც

საკმაოდ მაღალ ნიშნულზე რჩება, მაგ: 1996 წელს საშუალო საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში 57,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურში კი 64.9 პროცენტს. 2013 წელს კი, შესაბამისად, 20.7% და 13,5% (საშ. 15,9 პროცენტი). ეს მაინც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულ რამდენიმე პროცენტიან მაჩვენებელს (ბელგია, ლუქსემბურგი - 2,4 პროცენტი; ავსტრია - 2,5 პროცენტი; საფრანგეთი - 2,8 პროცენტი; ჩეხეთი, დანია - 3,4 პროცენტი) (ევროსტატის თანახმად) რამდენიმეჯერ აღემატება. ის აგრეთვე, აღემატება ევროკავშირის (პირობითად) ყველაზე ნეგატიური მაჩვენებლის მქონე ქვეყნებსაც, მაგ: ბულგარეთი - 9 პროცენტი; რუმინეთი - 10% და უნგრეთი 10,4 პროცენტი.

მცირე ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიციურობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი - გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (გამოკვლეულ 148 ქვეყანას შორის), საქართველო საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანაა, ამაზე შემდეგი მაჩვენებლები მეტყველებენ:

• ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა - 83-ე ადგილი;

• სესხების ხელმისაწვდომობა - 98-ე ადგილი;

• ადგილობრივი ბაზრის სიდიდე (ინდექსი) - 102-ე ადიგილი;

• განათლების სისტემის ხარისხი - 105-ე ადგილი;

• ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელი – 117-ე ადგილი;

• კვლევებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობა – 130-ე ადგილი;

• თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და ინდუსტრიას შორის კვლევებსა და

განვითარებაში – 132 ადგილი.

გამომდინარე ზემოჩამოთვლილი სუსტი პოზიციებიდან, ნათელი ხდება თუ რატომ არ ინტერესდებიან საქართველოთი უცხოელი ინვესტორები იმ ოდენობით, რაც საქართველოში აღნიშნული პრობლემების გამოსწორებას შეუწყობდა ხელს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, თავად საქართველოს მცირე ბაზარსა და სამუშაო ძალის დაბალკვალიფიციურობაშია, რაც, თავის მხრივ, სპეციალისტების უცხოეთიდან მოწვევის აუცილებლობას წარმოშობს. „საქართველო 2020-ს" თანახმად, ბოლო ათწლეულში ეკონომიკური ზრდით მიღებული შედეგი ვერ გამოდგა საკმარისი სიღარიბის მაჩვენებლის გამოსასწორებლად. შედეგად, საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი „სამაგალითო" ქვეყანაა. აღნიშნული საკითხი იმიტომ წარმოადგენს პრობლემას, რომ ინვესტორისთვის არამხოლოდ დაბალი გადასახადებია საჭირო ბიზნესის საწარმოებლად, არამედ აუცილებელია

კვალიფიციური კადრებიც. საქართველოში კი საკმაოდ გავრცელებულია მიდგომა, როდესაც თუნდაც დაბალკვალიფიციური მუშა უკადრისობს დაბალი ხელფასის სანაცვლოდ მუშაობას, ხოლო მაღალკვალიფიცირებული - მაინც და მაინც „ევროპულ" ხელფასს ითხოვს.

კონფლიქტური რეგიონების არსებობა - სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად კონფლიქტური რეგიონების არსებობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად ნეგატიურად აისახება, რაც ჩვენი ბაზრის სიმცირის და მუშახელის დაბალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ნამდვილ „თავის ტკივილს" წარმოადგენს საქართველოს მთავრობისთვის. აგრეთვე უდიდესი პრობლემაა აღნიშნულ რეგიონებთან მუდმივად დაძაბულ ვითარებაში თანაარსებობა. ქართულ-აფხაზურ ეკონომისტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, კონფლიქტური ვითარების და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის არსებობის მიუხედავად, ქართულ-აფხაზური ეკონომიკური ურთიერთობები მაინც არსებობს და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს: ერთი მხრივ, აფხაზური სასურსათო უსაფრთხოების, მეორე მხრივ, კი აფხაზეთში მცხოვრები (არამხოლოდ) ქართველი მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მხარდაჭერის თვალსაზრისით (MIRIMANOVA AT ALL, 2013). სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში, ძლიერი ეკონომიკური კავშირების დამყარება ნამდვილად შეიძლება იყოს ამ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა. საინტერესოა, რომ ექსპერტთა რეგიონალური ჯგუფის მიერ (შედგებოდა ქართველი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქი და რუსი ექსპერტებისგან) დათვლილ იქნა ერთ-ერთი პროექტიც, რომელიც, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, პოზიტიურ, ხოლო დანარჩენთა შეფასებით, კი ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ქართულ სახელმწიფოზე. საუბარია ტრანსკავკასიური რკინიგზის აღდგენაზე, რომელიც რუსეთს, აფხაზეთის გავლით, საქართველოსთან, შემდგომ სომხეთთან, და ბოლოს, ირანთან დააკავშირებს. აღნიშნული პროექტი იმით არის საინტერესო, რომ იგი განიხილებოდა, როგორც საინვესტიციო პროექტი, რომლის ღირებულებაც უნიკალურად დათვლილი მეთოდოლოგიით $250-დან $400 მლნ-მდე შეადგენდა (MIRIMANOVA AT ALL, 2013).

აღნიშნული რკინიგზის საშუალებით, შესაძლებელია საქართველოდან დასავლეთ რუსეთში ტვირთების (და აგრეთვე, ადამიანების) უმოკლესი მარშრუტით გადაადგილება, რაც, ამავდროულად, ყველაზე იაფი და სწრაფი (თუ არ ჩავთვლით საჰაერო მიმოსვლას) გზაცაა. თუმცა კვლევის ქართველი ექსპერტის მიერ, პროექტის ამოქმედება, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფლიქტების მოგვარება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს არამხოლოდ საინვესტიციო კლიმატის, არამედ, მთლიანად ქართული ეკონომიკის წინსვლისთვის, ამიტომ საქართველოს მთავრობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული კონფლიქტურ

რეგიონებთან ერთად საერთო პროექტების განხირციელებაში, რისი ნათელი მაგალითიც შეიძლება იყოს ენგურჰესი. კონფლიქტურ რეგიონებთან მშვიდობიანი თანაარსებობის დაფიქსირება, როგორც მინიმუმ, პოზიტიური იქნება არამხოლოდ კონფლიქტის დარეგულირების, არამედ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარების სიგნალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთაც, რასაც აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი შედეგები.

საკუთრების უფლების დაცვა - ყოველი ბიზნესმენისთვის ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვაა. ინვესტორი ყოველთვის კითხულობს, აქვს თუ არა გაფორმებული „ახალ ბაზარს" მის ქვეყანასთან ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულება. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის 2013 წლის განცხადების თანახმად: „იმ სავალალო მდგომარეობის გამო, რომელიც საკუთრების უფლების დარღვევის მიმართულებით გვქონდა, წინა ხელისუფლებამ 32 ქვეყანასთან შეაჩერა ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. ეს ქვეყნები დღეს მოლაპარაკების განახლებას ელოდებიან." თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული პროცესი კვლავაც არ არის დასრულებული (2015 წელს) და მეტი აქტიურობაა საჭირო ხელისუფლების მხრიდან უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის და საინტერესო ბიზნეს გარემოს შესაქმნელად. იუსტიციის სამინისტროს ვებ–გვერდის მიხედვით, ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოს მხოლოდ 21 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული.

აღნიშნული პრობელმის სიმწვავეზე მიუთითებს მსოფლიოში ორი პრესტიჟული კვლევის შედეგებიც. კერძოდ, მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ რეიტინგში „დუინგ ბიზნეს 2013" (სადაც საქართველოს ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდა ფიქსირებული), ინვესტორთა დაცულობის მხრივ საქართველო ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად 43-ე პოზიციას იკავებს, ხოლო მის ერთერთ კომპონენტში, რომელიც გაკოტრების პროცედურებთანაა დაკავშირებული, სულაც 122-ეა მსოფლიოში, არადა თავად „დუინგ ბიზნესის" აგრეგირებულ მაჩვენებელში საქართველოს მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 15-ე ადგილი უჭირავს. იგივე მდგომარეობაა ავტორიტეტული ორგანიზაციის „ჰერიტიჯის ფონდის" „ეკონომიკური თავისუფლების" რეიგინტში. 2015 წლის მონაცემებით, კვლევაში მოხვედრილ თითქმის 200 ქვეყანას შორის, საქართველოს საკმაოდ პოზიტიური - 22-ე ადგილი უჭირავს. თუმცა საკუთრების უფლების დაცულობის კუთხით „დუინგ ბიზნეს"-თან შედარებით, მოცემული რეიტინგი უფრო მკაცრი აღმოჩნდა და საქართველოს 70-ე პოზიცია მიანიჭა, უფრო მეტიც, 2013 წელთან შედარებით, საქართველომ ერთი პოზიციით უკან დახევაც „მოახერხა", თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, 2011 წელთან შედარებით , 77-ე ადგილი გარკვეულ გაუმჯობესებასაც წარმოადგენს. შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად „დუინგ

ბიზნესსა" (მე-15 ადგილი) და „ეკონომიკური თავისუფლების" რეიტინგში (22-ე ადგილი), პოზიტიური გასაშუალოებული მაჩვენებლებისა, საქართველო ჯერაც შორსაა ინვესტორთა ფართომასშტაბიანი დაინტერესებისგან (იგულისხმება საინვესტიციო ბუმისთვის ხელსაყრელი პირობები).

გატარებული პოლიტიკიდან გამომდინარე საკმაოდ კარგი შედეგი გვაქვს. რეგიონში პირველ ადგილას ვართ ამ მხრივ. ჩვენი ეკონომიკა მზარდია თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ მსყიდველობითუნარიანობამ მოიკლო. ზოგადად ეკონომიკა მზარდია თუმცა რეგიონზე დამოკიდებულობამ და იმპორტზე მიბმამ ვალუტის კურსის გაუფასურება გამოიწვია. ჩვენს მაგალითზე მაინც გვაქვს იმის პოტენციალი რომ ეკონომიკა კვლავ აღმავალი იყოს და შევინარჩუნოთ მზარდი სტაბილურობა. ანუ მიდგომა ეფექტიანია, საერთო კრიზისმა იმოქმედა თუმცა ნაკლებად.

რაც შეეხება გლობალიზაციას ნამდვილად გვაქვს იმის პრეტენზია რომ ევროპის თუ არა ბალკანეთისპირა ქვეყნებს დავემსაგვსოთ და ეკონომიკის გეზი მათკენ ავიღოთ. საქართველო და ქართული პროდუქცია ცნობილია მსოფლიოში და ეს ცნობადობა ძალიან მოკლე ხანში გაიზარდა რაც იმაზე მიუთითებს რომ შეგვიძლია წარმოების წახალისება, ეს ყოველივე კი პირდაპირ კავშირშია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან. დღევანდელი მდგომარეობით, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც უვიზო მიმოსვლა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში და ხალხებს საშუალება აქვთ მარტივად წავიდნენ ევროპაში, მიმოსვლამ უნდა მოგვიტანოს შემდეგი მოლოდინი: პროდუქციების გაცვლა, მომსახურების შესწავლა, კადრების კვალიფიკაცია, დროის მოგება და სავაჭრო თავისუფალი ზონების გაზრდა. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი და პლუს მოლოდინიც რომ გახდეს სატრანზიტო ქვეყანა აერო მიმართულებით. აეროპორეტების დამატება გაზრდა ახალი ავიაკომპანიების შემოსვლა ეს ყველაფერი ჩვენი მოლოდინია. დიდი აეროპორტები მაღალი ეკონომიკის მაჩვენებელია. შესაბამისად მოხდება არა თბილისისა და ქუთაისის მხოლოდ არამედ რეგიონების განვითრებაც. მოლოდინია არის ქვეყნის არა მხოლოდ 2 და 3 ქალაქის პოპულარიზაცია არამედ ტერიტორიის 60% მაქსიმალურად ათვისება. მეზობელი ქვეყნების გავლენა საქართველოზე. პირველი მთავარი პრობლემა არის რომ 20% ტერიტორიების მითვისებულია რუსეთის მიერ რაც ერთ-ერთ დიდ დაბრკოლებად მიიჩნევა პირდაპირი უცხოური ინვესტიცი-ების შემოსვლისას, რადგან ქვეყანა სადაც არაა გარანტირებული უსაფრთოება და მცოცავი ოკუპაციაა ინვესტორს ინტერესს უკარგავს. თურქეთისა და აზერბაიჯანის ყოფნა ჩვენს მეზობლად ერთის მხრივ კარგია რადგან ორივე მწარმოებელი ქვეყანაა, აქვთ მდგრადი ეკონომიკა და დიდი რესურსები. აზერბაიჯანისგან ვიღებთ ბუნებრივ აირს და ეს განაპირობებს შედარებით იაფ ფასს მასზე, ხოლო თურქეთთან საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო კავშირი გვაქვს. ასევე გვაქვს საკმაოდ ხელსაყრელი გრძელვადიანი პროექტები მათთან. ეკონომიკის შემაფერხებელ გარემოებად კი ითვლება

განსხვავებული რელიგიები ჩვენსა და თურქეთ-აზერბაიჯანს შორის სომხეთის ყოფნა ეკონომიკისთვის კარგია რადგან მათი მეზობლობა აზერბაიჯანთან საკამოდ დაძაბულია და ამის ხარჯზე ჩვენგან ექსპორტი მაღალია სომხეთში და რუსეთიდან შესასვლელი პროდუქცია კი აქაურ გადასახადებს იხდის ქვეყანას ორივე შემთხვევაში ადგება. პლუს თურქეთიდან შემოსული პროდუქცია რე-ექსპორტს აკეთებს და გადასახადებს მაინც იხდიან. ინოვაციურობის მხრივ და კეთილდღეობის ინდექსით რეგიონში უპირობო ლიდერები ვართ.[4]

გამოსავალი ყოველთვის არსებობს ყველა სიტუაციიდაან, აქვე მინდა მოვიშველიო გიორგი გრიგალაშვილის სამაგისტრო ნაშრომიდან საკითხი, რომელიც ეხება ინოვაციურ განვითარებას, სადაც კარგად არის ახსნილი თუ რა როლი ეკისრება ინოვაციურ განვითარებას და ინოვაციურ პროექტებს ქვეყნის განვითარებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის და ევროინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი. ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. საინოვაციო პოლიტიკა ეს არის, სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური განვითარება ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. დღესდღეობით, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, საწარმოები ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავენ წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, ვიდრე ინოვაციური პროექტების ანხორციელებისათვის.

თაობათა ცვლა საქართველოში სსრკ-ს დაშლიდან მკაფიოდ გამოიკვეთა. ყოველთვის ის იყო მიმზიდველი რაც უცხო იყო, უცხური, არა ქართული, რაც მეტად განსხვავებული იყო. შესაბამისად დღესაც იმ პირობებში როცა თაობებს ევროპისკენ უფრო ფართო კარები აქვს გახსნილი, უფრო მარტივია მიმოსვლა, გვაქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სიახლის ნახვის მსოფლიოს მასშტაბით, დღესაც ახალი და უცო აქტუალურია. ზოგიერთი ხალხებისთვის საქართველოში რაც უფრო განსხვავებული ხარ მით უფრო მოთხოვნადი ხარ ინ პირიქით უფრო მეტი კრიტიკის მსხვერპლი. ადამაინთა კატეგორია ორივეს მიმღებია და ამავე დროს ორივესწ უგულებემყოფი. შესაბამისად ყველა უცხელი ინვესტორი მოტივირებულია იმით რომ საქართველოს

[4] ვახტანგ ჭარაია : პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე)
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/vaxtang_charaia.pdf

ბაზარი უცხოური პროდუქციის მომსახურების ინოვიციისა თუ ტექნოლოგიისთვის მისაღებია, მარტივად გასავრცელებელია და მოთხოვნადიც, რადგან ჩვენს თაობას და მანამდეც ყოველთვის ჰქონდათ მიმბაძველობა ერთმანეთისადმი.

ინოვაცია გრძელვადიანი პროცესია, რომელიც განსხვავებული, საინტერესო იდეით იწყება და შემდეგ წარმატებით განსახორციელებლად საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაპები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის არც ისე ორგანულია, მაგრამ მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ასე ყოვლისმომცველი ხდება, საჭიროა დღესვე გადავდგათ ნაბიჯები ცვლილებებისაკენ. ინოვაციური პროექტების წარმატებით განსახორციელებლად ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნევ „ბიზნესინკუბატორების“ ამუშავებას, სადაც მოხდება მომავალი სტრატეგიული პარტნიორების მოძიება, სპეციფიკური ცოდნის შეძენა, ბიზნეს გეგმების მომზადება, ფინანსური რესურსების მოძიება და ა.შ ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი რისკის მქონე, ახალი, ინოვაციური იდეების დაფინანსებას. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ვენჩურული ფონდების განვითარებას და ბაზარზე კონკურენციის არსებობას.

ჩვენი მიზანია რეალურად წარმოგიდნგინოთ ფაქტებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით, კარგია თუ ცუდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ბაზარზე, რა მომავალი აქვთ მათ და საქართველოს ეკონომიკური ბაზრის და სხვა უპირატესობები საკმარისია თუ არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და მის განვითარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა გააანალიზეს გამონაკლისი არც პოსტსაბჭოთა ქვეყნები ყოფილან და არც სხვა ნებისმიერი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები მსოფლიოს მასშტაბით. ამერიკელი ეკონომისტის ე. ჰელპმენის კვლევების თანახმად, ფირმები უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებმს იმ შემთხვევაში ახორციელებენ, თუ სავაჭრო ბარიერები 28 მაღალია, ხოლო დაბალი სავაჭრო ბარიერების პირობებში კი პირიქით, ამჯობინებენ პროდუქციის ექსპორტირებას და არა ინვესტიციის განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰორიზონტალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და საგარეო ვაჭრობა ურთიერთშემცვლელი მოვლენებია.

1976 წელს ჰაიმერის მიერ ჩამოყალიბებული ინდუსტრიული ორგანიზაციის თეორიის თანახმად, ფილიალის დაარსების გზით უცხო ქვეყანაში (ახალ ბაზარზე) გასვლისას კომპანიას ექმნება გარკვეული პრობლემები, რომელიც ადგილობრივ კომპანიებთან კონკურენციის ჭრილშია მოსალოდნელი. კერძოდ, საუბარია ისეთი ტიპის ნაკლოვანებებზე, როგორიცაა: კულტურული და ენობრივი ბარიერები; სამართლებრივი და საგადასახადო სისტემების სხვაობა და ა.შ. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, კომპანია, რომელიც პირდაპირი

უცხოური ინვესტიციით შემოდის ქვეყანაში, იმედებს ამყარებს სხვასახის უპირატესობებზე: თანამედროვე ტექნოლოგიები; ბრენდის ცნობადობა; დახვეწილი მენეჯერული უნარჩვევები; უცხოურ ბაზარზე მოღვაწეობის დიდი გამოცდილება და ა.შ. ლალის და სტრიიტენის თანახმად, უპირატესობები, რომელიც უცხოურ კომპანიას გააჩნია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაკლოვანებები, რომელიც მათ შეიძლება გააჩნდეთ. საუბარია შემდეგ მიმართულებებზე კულემის თანახმად, სხვა თანაბარ პირობებში, უცხოურ ბაზარზე ხელფასების ზრდა ნეგატიურ გავლენას იქონიებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე. თუმცა, მეორე მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე ხელფასების ზრდა, შესაძლოა, ადგილობრივი ფირმებისთვის ახალ ბაზრებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გზით გასვლის მოტივატორი გახდეს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და ადგილობრივ მწარმოებლებს ზრდის საშუალებას აძლევს, მათი უპირატესობების უცხოურ ბაზარზე გამოყენების გზით.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის (და არა მხოლოდ საქართველოსთვის) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ დიდი დრო 29 გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გააანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს რადგან სწორედ ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანაზოგები, რომელიც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა (მაგ: საქართველო) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (მაგ: თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების გზით), რაც, საბოლოოდ, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაძლიერებას უწყობს ხელს საერთაშორისო ორგანიზაციებზე უფრო ხშირად კი ტექნოლოგიურ სიახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში მულტინაციონალური კომპანიები ნერგავენ, რომლებიც, იმავდროულად, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე, მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის განვითარება, მათ შორის ხელი შეუწყონ სიღარიბის დაძლევას, რომელიც თავის მხრივ პრობლემების შედეგია, თუმცა თავადაც წარმოშობს მრავალ სირთულეს უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია . ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმი ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩნდნენ.

კოპურია-ფორემანის აზრით, ქვეყნის საინვესტიციო მომხიბვლელობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ჩარევის შემცირება და 30 კაპიტალის შემოდინებისათვის ბარიერების მოხსნა (აღნიშნულ პუნქტს ჩვენ ვეწინააღმდეგებით, რადგან არც საქართველოსთვის და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნისთვის არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ნებისმიერი კაპიტალის“ მოზიდვა, პირიქით, „ინვესტიციურმა სიხარბემ“ მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან. მაგ: კომპანია „ტრამექსის“ შემთხვევა საქართველოში). კომპანია ტრამექსი საქართველოში 1991 წელს დაარსდა და ნავთობისა და გაზის გადამუშავების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. თუმცა, 1996 წელს ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, ნავთობისა და გაზის კორპორაციის შექმნის შემდგომ ტრამექსს ეს უფლება ჩამოერთვა. ამის შემდეგ ტრამექსმა დაკარგული უფლებების აღდგენის მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 98 მილიონი დოლარის გადახდა დაეკესრა. საერთაშორისო სკანდალში კი ეს საქმე მას შემდეგ გადაიზარდა, რაც საქართველოს მთავრობამ ებრაელი ბიზნესმენები ქართველი მაღალჩინოსნებისთვის 7 მილიონი დოლარის ქრთამის შეთავაზებაში დაადანაშაულა და დააპატიმრა.

1997-2010 წლებზე დაკვირვებით, თურქმა ეკონომისტებმა – გუერსოიმ და ქალიონჩუმ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მთლიანი შგა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი გამოიკვლიეს და დაადგინეს რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა საქართველოშიც მჭიდრო კავშირშია. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებმსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებით ეფექტზე თავის კვლევებში ყურადღებას ამახვილებს ლ. კრკოსკაც , რომელიც აკვირდებოდა 25 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას 1989-2000 წლებში. მის კვლევაში მოხვედრილ ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა სტიმულს აძლევდა კაპიტალის დასაგროვებლად, აგრეთვე ეკონომიკური ვარდნის პერიოდში ხელს უწყობდა მათ ეკონომიკურ ზრდას. 31 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად დატრიალებული მოვლენების გამო უცხოელი ინვესტორების მხრიდან საქართველოში 2009 წელს მათი კაპიტალის რეინვესტირება არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, რეინვესტირებულმა კაპიტალმა უარყოფითი შედეგი -$52 მილიონი შეადგინა. საქართველოში მოღვაწე უცხოელმა ინვესტორებმა ქართული ეკონომიკის ნდობა მხოლოდ 2010 წელს დაიბრუნეს ($227 მილიონი).

1.5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ეტაპები

საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების (IIA) მიღების ევოლუციის პროცესი იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად:

1. პირველი, მოიცავს 1950-1964 წლებს და ეწოდება ე.წ. ჩვილად ყოფნის პერიოდი. ამ პერიოდში შემუშავებულია 37 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება;
2. მეორე ეტაპი, მოიცავს 1965-1989 წლებს და ეწოდება დიქტომიის (განშტოების) ერა. ამ ეტაპზე მიღებულია 367 ახალი შეთანხმება და ჯამში (+ წინა 37) მოქმედებს 404 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება;
3. მესამე ეტაპი გულისხმობს გავრცელების ერას და მოიცავს 1990-2007 წლებს. ეს პერიოდი ხასიათდება მასშტაბურობით და ამაზე მეტყველებს 2663 ახალი და წინა პერიოდებში მიღებულთან ერთად ჯამში მოქმედი 3067 შეთანხმება;
4. მეოთხე პირობითი ეტაპი – რეორიენტირების ერა, მოიცავს 2008 წლიდან დღემდე პერიოდს და თავს უყრის 3271 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წელს დაიწყო საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის პროცესი. 1991 წელს უზენაესმა საბჭომ, მიიღო პირველი კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ", რომელიც სამართლებრივ დონეზე არეგულირებდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხებს. იმავე წელს მიიღეს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის შესახებ", რომლითაც სამართლებრივ საფუძვლებზე რეგულირდებოდა ეროვნული ინვესტიციები. 1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე მეორე კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ", თუმცა, 1996 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა წინა კანონები თავიანთი დანამატებით.

1996 წლის 12 ნოემბრის კანონის მიღებამდე საქართველოს ორიენტაცია აღებული ჰქონდა უცხოელი ინვესტორებისათვის მკვეთრად გამოხატული უპირატესი ხელშეწყობისაკენ. მაგალითისთვის, 1995 წლის 30 ივლისის კანონით, უცხოელ ინვესტორებს ენიჭებოდათ მთელი რიგი საგადასახადო და სამეურნეო ეკონომიკური ხასიათის შეღავათები, რაც ადგილობრივ ინვესტორებს უბიძგებდა საზღვარგარეთ გაეტანათ საკუთარი კაპიტალი შემდგომი რეექსპორტის მიზნით.

საქართველოს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს ტერიტორიაზე თანაბარ პირობებში აყენებს, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობით საინვესტიციო საქმიანობას და უზრუნველყოფს მათი დაცვის გარანტიებს. მისი მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული კანონით სამართლებრივად პირველად განიმარტა საქართველოში ინვესტიციის არსი,

საინვესტიციო საქმიანობის ობიექტი და სუბიექტი. კერძოდ, ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. კანონი განმარტავს, რომ ნახსენები ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

ბ) უძრავი და მოძრავი ქონება – მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;

გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, "ნოუ-ჰაუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

აღნიშნული კანონის მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად (ინვესტორად) ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში. უცხოელ ინვესტორად ითვლება:

ა) უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე;

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ;

დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვარს გარეთ.

2002 წელს მიღებული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2015 წლის 4 მარტს მიღებული საქართველოს კანონით "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ", რომელიც სააგენტოს პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერის თაობაზე. აღნიშნული კი, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მთავრობის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტად დარჩენას. საინვესტიციო საქმიანობის და მათ შორის, უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებით, კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა 2006 წელს, როდესაც მიღებული იქნა საქართველოს კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ". ამ კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონითვე დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი

ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის. მოცემული კანონით, ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა, ხოლო საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ინვესტიციების მხარდაჭერის სფეროში არის საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო.

ბოლო ათლეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონმდებლობაში, რამაც ჩემი აზრით წაახალისა ეკონომიკური ჭრილი. მაგალითისთვის: შემცირდა გადასახადების რაოდენობა, უფრო მარტივი გახდა ადმინისტრაციული მექანიზმი, წარმოიქმნა მყარი ბაზა ლეგალური ბიზნესის საწარმოებლად. გადამხდელი პირისთვის გამკაცრდა საგადასახადო სისტემა, აქამდე თუ არსებობდა 22 გადასახადი დღესდღეობით იგი ჩამოყვანილია 6-მდე.

არ უნდა გამოგვრჩეს აუცილებლად ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 და მთავრობის სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად ცნობილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციების სამოქმედო გეგმა დაისახა მთავრობის მხრიდან და იგი დღესდღეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად აუცილებელია დანაზოგების სტიმულირება.
- ასევე ძალზედ მნიშნელოვნად იქნება მიჩნეული ეკონომიკური დიპლომატიის ეფექტიანად განხორციელება.
- პრიორიტეტული იქნება ასევე ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციის ფარგლებში - ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოება.
- ენერგოდამოუკიდებლობის გასაზრდელად საჭირო გახდება ენერგო იმპორტის შემცირება.

თავი 2. საქართველო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2.1 საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო

ლოგიკური ფაქტია ის, რომ თუ ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი საინვესტიციო გარემო არცერთი ინვესტორი არ დაინტერესდება, რომ ამ ქვეყანას მიანდოს თავისი ეკონომიკური რესურსები. საინვესტიციო გარემო, რომელიც მოიზიდავს ინვესტორს სახსრების დასაბანდებლად ბევრ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, საქართველოს მაგალითზე განვიხილოთ ის მახასიათებლები, რომლებიც განსაზრვრავს მის ეკონომიკურ მიმზიდველობას ან პირიქით.

ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება არის საკანონმდებლო დონეზე იმის უზრუნველყოფა რომ ინვესტორებს, რომლებიც არ არიან საქართველოს რეზიდენტები, მაგრამ აქვთ იმის შესაძლებლობა და სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ ქვეყნის მშპს შექმნაში, საშუალება ექნებათ თავიანთი საქმიანობა შეუფერხებლად და დისკრიმინაციიული პირობების გარეშე განახორციელონ. საქართველოში 2006 წლიდან მოქმედებს "საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწფო მხარდაჭერის შესახებ, რომლის მიზანია: "ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით". 4 კანონის მოქმედების სფერო მოიცავს ნებსმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციას, რომელიც დაბანდებულია საქართველოს ტერიტორიაზე და ასევე განსაზღვრავს განსაკუთრებბული ინვესტიციებისათვის საშეღავათო პირობებს. ამ კაანონის არსებობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისა, რომ უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ ინვესტიციების საქართველოსში განხორციელებით. როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ჩანს მართლაც 2006 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი, თუმცა ეს არ არის საკმარისი, ასე მაგალითად 2008 წლის საომარმა კონფლიქტმა ქვეყნის მნიშვნელოვანი უკან დახევა გამოიწვია.

გარდა აღნიშნულისა უცხოელ ინვესტორებს აინტერესებთ, თუ რამდენად იქნება ქვეყანში დაცული ლიცენზირების, პეტენტების და ინოვაციების განხორცილებეის უფლებები და ის პირობები, რომლებიც მათგან მიღებულ შემოსავალზე უფლებამოსილებს განსაზღვრავს. საქართველოში 2005 წლიდან მოქმედებს "საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", რომელიც "აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფროს განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემით, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს".
მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად "ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010"

საქართველო ერთერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით.

ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს ფორმირება, როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკაზე, მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული პროცესების ზეგავლენის შედეგად ხორციელდება. საქართველოში ინვესტიციური გარემოს ერთმნიშვნელოვნად შეფასება საკმაოდ რთულია. საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია კომპლექსური ფაქტორების დამუშავება და ანალიზი, მათ შორის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხის გათვალისწინება. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას დისპროპორციები რეგიონული განვითარების კუთხით, რისთვისაც საჭიროა განვახორციელოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ჩამორჩენილ რეგიონებში გაზრდის მოტივაციას ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ეს კი დაგვეხმარება, აღვადგინოთ და ეფექტიანად ავამუშაოთ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები. ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, შემცირდეს სხვაობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და შიგა ინვესტიციებს შორის. აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მობილიზება ქვეყნის რეალურ სექტორში განხორციელდეს. საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარება.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციებიდან მიღებულ დადებით ეფექტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტებად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგი თანმდევი დადებითი ეფექტები შეგვიძლია მივიჩნიოთ: ტექნოლოგიური გადაიარაღება (მათ შორის ნოუჰაუ-ს გამოყენება); დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება; ეკონომიკური ზრდა; ადგილობრივი მონოპოლიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსპობა; საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და ა.შ.

საქართველოს მაგალითზე რთულია საუბარი (სტატისტიკის უქონლობის გამო) იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა ტექნოლოგიური და ინოვაციური სფერო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ინოვაციების მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მხოლოდ 126-ე ადგილზეა გამოკვლეულ 148 ქვეყანას შორის (2013 წ). თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ისეთი დარგი, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო სფერო, სწორედ ტექნოლოგიურ სიახლეებზეა დაფუძნებული და საკმაოდ წარმატებულია. მიუხედავად ამისა, ყოველწლიური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ის მაინც უმნიშვნელო ადგილს

იკავებს (დეტალურად იხ. მომდევნო თავებში). აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივებიდან და შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ, კერძოდ: შემთხვევას, როდესაც უცხოური ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამა, თუ იმ ქვეყანაში ახორციელებენ, შემდგომ ქირაობენ ადგილობრივ კადრებს და ასწავლიან მათ ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგული ტექნიკისა და ა.შ. გამოყენებას - ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება (Horizontal Spillover Effects). ამ ეფექტის მიღება, როგორც წესი, ბენეფიციარი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი, შესაძლებელია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც იყოს (Конингс, ж, 1999). კონინგის მიერ ბულგარეთში, რუმინეთსა და პოლონეთში ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს, რომ თუ პირველი ორი ქვეყნისათვის ინვესტიციების მოზიდვამ დადებითი ჰორიზონტალური ეფექტი მოიტანა, პოლონეთისთვის მას უკუშედეგიც კი ჰქონდა. კერძოდ, ადგილობრივი კომპანიების დახმარებისა და ტექნოლოგიური დიფუზიის ნაცვლად, წარმოიშვა უმკაცრესი კონკურენცია, რომლის საფუძველზეც, მხოლოდ უძლიერესები რჩებოდნენ ბაზარზე, როგორც წესი - დიდი კომპანიები.

მთლიანობაში კი, შესაძლოა ითქვას რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის და მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის მრავალი დადებითი ეფექტის მონატანა შეუძლია, როგორც პირდაპირი (ვერტიკალური გადადენის ეფექტი), ასევე არაპირდაპირი (ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი) გზით, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში არსებული ადგილობრივი ფინანსური რესურსები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ უმკლავდება ადგილობრივი საინტესტიციო „მოთხოვნილებების და საჭიროებების" დაკმაყოფილებას.

უცხოური ინვესტიციები ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზაა. უცხოური ინვესტიცია ზრდის ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობასა და დასაქმების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. უცხოური ინვესტივიები განვითარებად ქვეყნებს ასევე საშუალებას აძლევს გაეცნონ და გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგიები, რომელიც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში იწარმოება და გამოიყენება.

2016 წლის პირველი კვარტალის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელდა 376.4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კვარტალის მდგომარეობით, ბოლო 10 წლის განმავლობაში, მაქსიმალური ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2008 წელს განხორციელდა 537.7 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის, ომის გამო 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა

(114 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო მომდევნო წლებში კვლავ ზრდა დაიწყო.



წყარო: საქსტატი. * წინასწარი მონაცემი.

განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, ინვესტორი ქვეყნების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: აზერბაიჯანი (136.9 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (56.5 მლნ. აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო (44.2 მლნ. აშშ დოლარი), კორეა (32.1 მლნ. აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (21.5 მლნ. აშშ დოლარი). 2016 წლის პირველი კვარტალის უცხოური ინვესტიციების მოცულობის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა კორეულმა ინვესტიციამ, ვინაიდან კორეამ წელს პირველად განახორციელა ასეთი დიდი მოცულობის ინვესტიცია საქართველოში. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, თუ ბოლო 10 წლის მონაცემებს გადავხედავთ, ისინი ინვესტორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ყოველთვის შედიოდნენ. ბოლო ათი წლის ჯამური მონაცემებით, ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 12% ნიდერლანდებზე მოდის, 11% აზერბაიჯანზე, 10% გაერთიანებულ სამეფოზე, ხოლო 7-7% თურქეთსა და აშშ-ზე.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ ქვეყანაში არსებული რომელი სექტორებია ყველაზე მიმზიდველი ინვესტორებისათვის და შესაბამისად რომელი სექტორები ვითარდება უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობით. 2016 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, განხორციელებული ინვესტიციების ნახევარზე მეტი (53%) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე მოდის. ინვესტორთათვის მეორე ყველაზე მიზიდველი სექტორი საფინანსო სექტორია, მასზე 2016 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ინვესტიციების 15% მოდის, ხოლო მესამე ადგილს ენერგეტიკის სექტორი იკავებს (11%). ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი ინვესტორთათსვის ყველაზე მიმზიდველი არა მხოლოდ 2016 წლის პირველი კვარტალის მონაცემებითაა, არამედ ბოლო ათი წლის განმავლობაში

ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სწორედ ტრანსპოტრისა და კავშირგაბმულობის სექტორზე მოდის. მნიშვნელოვანი პირდაპირი უნცხოური ინვესტიციებია განხორციელებული ასევე ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებშიც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ბევრი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ჩაიდო, განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით სამშენებლო სექტორი ხასიათდება.

რაც შეეხება რეგიონალურ განვითარებას, 2016 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი (63%) დედაქალაქზე მოდის, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 18% აჭარის რეგიონში განხორციელდა, ხოლო 15% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.[5]

[5] წყარო: Forbes.ge - https://forbes.ge/

2.2 "საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"

დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მარეგულირებელი რამდენიმე კანონი ფუნქციონირებს. თუმცა, მათი უმრავლესობა ძალიან მოძველებულია და არსებით გადახედვას საჭიროებს, ამას ადასტურებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც, ე.წ. „საქართველო 2020." დღეს არსებული კანონმდებლობა შემდეგნაირია: 1. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის დადგენილება „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ". მოცემული კანონი თავის შინაარსიდან გამომდინარე, არ იყო პირველი საქართველოს კანონმდებლობაში, მაგრამ სწორედ მან შეუწყო ხელი მომდევნო წლების განმავლობაში უცხროური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნაში. 1995 წლის კანონმა „უცხოური ინვესტიციების შესახებ" ძალადაკარგულად გამოაცხადა „უცხოური ინვესტიციების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს. 1996 წლის კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ". აღნიშნული კანონი ორიენტირებული იყო უცხოელი ინვესტორების დამატებით დაინტერესებაზე ქართული ეკონომიკით და მიზნად ისახავდა, არამხოლოდ საქართველოსთვის დადებით ეფექტის მოტანას, არამედ უცხოელი ინვესტორებისათვის მეტი სტიმულის გაჩენას. მოცემულმა კანონმა განსაზღვრა, როგორც ადგილობრივი, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოცემული კანონის პირველი მუხლი განმარტავს „ინვესტიციის" ცნებას, რომლის თანახმადაც, „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში." ხოლო, ასეთ ფასეულობად მიიჩნევა: „ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კომპესაცია), პატენტი,ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ&ქუოტ;, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა; დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება." 2. 2002 წლის კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ". მოცემული კანონის ძირითადი მიზანი, სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირება გახლდათ. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება სახელმწიფოს

მონაწილეობით შემუშავებულ ყველა სახის საწარმოო-საინვესტიციო პროგრამაზე და მათ განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებზე. მომდევნო წლებში, აღნიშნული კანონი მრავალჯერ შეიცვალა და ისეთი ახალი ჩანართვები გაჩნდა, როგორებიცაა: ა) კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება; ბ) მცირე ან საშუალო საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა; გ) 2012 წლის 5 ივლის ცვლილებები შევიდა საინვესტიციო სააგენტოს მენეჯმენტის ნაწილში (დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები; სააგენტოს ბიუჯეტის დადგენის წესი და სხვ.); დ) 2011 წლის 22 მარტის ცვლილებებით სააგენტო ანგარიშვალდებული გახდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, აგრეთვე, ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონებაც მოცემულ სამინისტროს უბრუნდება; ე) 2012 წლის 5 ივლის N 6627 დადგენილებით დარეგულირდა სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა. 3. 2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" მოცემულ კანონს ორი ძირითადი მიზანი აქვს: ა) ინვესტიციების ხელშეწყობა აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და ბ) დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნა. მოცემული კანონი აგრეთვე იმით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ის „ვარდების რევოლუციის" შემდგომ, ინვესტიციების მხარდაჭერის კუთხით, პირველი კანონი გახლდათ, რომელიც იმ დროისათვის ახალმა მთავრობამ მიიღო.

აღნიშნულ კანონის ხიბლი გახლავთ მის მეოთხე მუხლში, რომლის თანახმადაც ინვესტორს უფლება აქვს: „ა) მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემა სააგენტოს მეშვეობით; ბ) მოითხოვოს ქონების შეძენა და მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის განხორციელება სააგენტოს მეშვეობით; გ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემასა და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს; დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით." ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, ზემოთ მოცემული პირობების განსახორციელებლად სააგენტოსთან და ინვესტორთან ითანამშრომლონ. მოცემული კანონი ინვესტორს აგრეთვე აძლევს შესაძლებლობას (გარკვეული პროცედურების გავლის გზით), მის კაპიტალდაბანდებას მიანიჭოს „განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის" სტატუსი, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისაკენ უხსნის გზას. 4. 2013 წლის კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ" მოცემული კანონის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდების ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. აღნიშნული კანონის თანახმად, რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების შემდეგი სახეობები არსებობს:

ა) საპაიო საინვესტიციო ფონდი (რომელიც შეიძლება იყოს ღია, ინტერვალური,

დახურული);
ბ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ);
გ) სააქციო საინვესტიციო ფონდი (მათ შორის, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი ან კერძო სააქციო ფონდი);
დ) სხვა სახის საინვესტიციო ფონდები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ამავე კანონის თანახმად: ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საბროკერო კომპანია, საპენსიო სქემა, სამრეწველო ან/და საფინანსო კომპანია, ჰოლდინგი, არ არის საინვესტიციო ფონდი. აგრეთვე საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა (გარდა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციებისა). მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 იანვრამდე საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო ორგანოდ საქართველოს ეროვნული ბანკია მიჩნეული (მუხლი 10).

მოცემული კანონების გარდა, რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი საბაზისო კანონმდებლობაც, რომელიც ინვეტიციებს სხვადასხვა კუთხით არეგულირებს: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს შრომის კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონები: თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ; მეწარმეობის შესახებ; უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; გაკოტრების კანონმდებლობა და მრავალი სხვა. ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნის მიზნით, 2003 წლიდან მოყოლებული, მთავრობამ მრავალი შეღავათი შემოიღო. მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: ა) საერთაშორისო საწარმო და ბ) უცხოური კომპანიის ფილიალი, რაც მათ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად აიოლებს. შედეგად, სახეზე გვაქვს, ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

კვლევაში განხილულია ოთხი ძირითადი საკითხი, თუ როგორ ახერხებს უცხოური კომპანია ამა თუ იმ ქვეყანაში:
ინვესტირებას;
საქმიანობის წამოწყებას;
მიწის ფლობას;
ბიზნესთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტას.

გარდა ამისა საქართველოში არსებული ლიბერალური საგადასახადო სისტემა, ბიზნესის დაწყების პროცედურების სიმარტივე, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მეტნაკლებად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, უცხოელი ინვესტორებისადმი კეთილგანწყობილი კანონდებლობა, სამუშაო ძალის სიიაფე

ქვეყანას ნამდვილად მიმზიდველს ხდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის.

ზემოთაღნიშნულთან ერთად ვფიქრობ ქვეყნის მიმზიდველობის განმსაზღვრელი ერთერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია პოტენციური ბაზრის არსებობა და შესაძლებლობები. სასქართველოში ბაზრის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ასათვისებელია განსაკუთრებით ეს ეხება მომსახურების და ინფორმაციულ სფეროს. შესაბამისად პოტენციური ბაზრების არსებობა და მისი ათვისების შესაძლებლობა ნამვილად იზიდავს ინვესტიციებს.

იმ პოზიტიურ მაჩვენებლებთან ერთად, რომელიც ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას იწვევს, სამართლიანი იქნება ჩამოვაყალიბოთ უარყოფითი გარემოებებიც, რომლებმაც პირიქით შეიძლება მათი შემცირება გამოიწვიონ. უპირველეს ყოვლისა ესაა პოლიტიკური არასტაბილურობა, ქვეყანა, რომელიც კონფლიქტებით, საომარი მდგომარეობით ან რევოლუციურობით ხასიათდება უპირობოდ კარგავს იმ შესასძლებლობას, რომ დააინტერესოს ინვესტორები მსგავს ქვეყანაში დააბანდონ თავიანთი სახსრები. ამასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაცვლითი კურსის სტაბილურობის და ინფლაციის მაჩვენებლების ანალიზს. ასევე საგარეო ვალის მოცულობას და ის დამოკიდებულებას მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, როდესაც საგარეო ვალი მშპს დიდ წილს მოიცავს ეს აქვეითებს ქვეყნის კრედიტუნარიანობას. ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება არასახარბიელოა, თუმცა არც საგანგაშო, იგი მშპს 39.8%ს შეადგენს (2016 წლის მონაცემებით).

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა საქართველოში

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში 1 232 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 35%-ით (662 მლნ დოლარით) ნაკლებია 2017 წლის მონაცემებზე და 2013 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ცალკე აღებულ 2018 წლის მეოთხე კვარტალში, ინვესტიციები 62%-ით (325 მლნ დოლარით) შემცირდა.

2018 წელს საქართველოში 1.2 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი) შემოვიდა. ეს არის ბოლო 5 წლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. მეტიც, 2014-2017 წლებში საშუალოდ ნახევარი მილიარდი დოლარით მეტი ინვესტიცია შემოდიოდა, ვიდრე გასულ წელს შემოვიდა. 2017 წელთან შედარებით კლება 662 მლნ დოლარი, პროცენტულად კი 35%-ია. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ღარიბი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის უცხოურ ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი აქვს. უცხოურ ინვესტიციას ფულთან და სამუშაო ადგილებთან ერთად ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიები და შემოაქვს ქვეყანაში და მის ცნობადობას ზრდის. ამასთან, უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს.

ინვესტიცია (წარმოების დაწყებაში, გაფართოებაში ფულის ჩადება) დანაზოგების შედეგია. საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას.

ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, გამართული

სამართლებრივი სისტემა, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან/და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა და სხვა.

დღევანდელი მეთოდოლოგიით (რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც იყენებს) პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია, თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10%-ზე მეტია. საწარმოს საკონტროლო პაკეტის ფლობა აუცილებელი არ არის. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად ითვლება სესხებიც, თუ ვალდებულებით საწარმოს აქტივები იტვირთება. ძირითადად, პირდაპირი ინვესტიცია ახალი ბიზნესის დაწყებას ან არსებულის გაფართოებას უკავშირდება. ეს კი პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ეკონომიკის, იგივე მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა კი სწორედ პროდუქციის წარმოების ზრდით მიიღება.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გასული წლების ინვესტიციების მაჩვენებლები დააზუსტა და გამოვიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მეტი ინვესტიცია – 1.9 მილიარდი დოლარი 2017 წელს შემოვიდა. მანამდე მაქსიმუმი 2007 წელს ფიქსირდებოდა – 1.8 მილიარდი დოლარი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ნომინალურ რიცხვებში გამოსახული ინვესტიციების მოცულობა სრულად არ გვეუბნება, ბევრია თუ ცოტა. მაგალითად, საქართველოსთვის 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ძალიან ბევრია, დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, მაგალითად, გერმანიისთვის კი თითქმის არაფერია – ეკონომიკურ კრიზისს ვერ გადაურჩება. ამიტომ ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ უნდა ვნახოთ. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტი ინვესტიცია სჭირდება ზრდისა და განვითარებისთვის. ამ მხრივ, 2007 წელი ყველაზე წარმატებული იყო. პუი-მა მშპ-ის 17.2% შეადგინა. ბოლო 10 წელიწადში, ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2009 წელს გვქონდა, მშპ-ის 6.2%. 2009 წელს მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი იყო და ინვესტიციები მკვეთრად დაეცა. რთული იყო კრიზისის მომდევნო წლებიც.

2018 წელს არც საქართველოში, არც ჩვენს რეგიონში და მით უმეტეს მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი არ ყოფილა, მაგრამ პუი მშპ-ის 7.6%-მდე შემცირდა, როცა 2014-2017 წლებში საშუალოდ 11.6% იყო. ბოლო 5 წელია, ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდას ლარის კურსის დაცემა უწყობს ხელს, რადგან დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ინვესტიციების მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებელი გაიზარდა. მაგალითად, 2013 წლის ლარის დოლარის მიმართ გაცვლითი კურსით – 1.67-ით, 2018 წელს პუი მშპ-ის მიმართ 5% იქნებოდა. უფრო ნაკლები, ვიდრე 2009 წელს.

საინტერესოა, რომელ სექტორებში და რომელი ქვეყნებიდან შემცირდა ყველაზე მეტად პუი 2018 წელს. ყველაზე დიდი კლება – $263-მილიონიანი (56%-იანი) ტრანსპორტის სექტორში იყო. შემდეგ მოდის მშენებლობა 179 მლნ დოლარით (63%-ით) და უძრავი ქონება 92 მლნ დოლარით (51%-ით). 67 მლნ დოლარით (30%-ით) შემცირდა ინვესტიციები ენერგეტიკაში. მნიშვნელოვანი ზრდა მხოლოდ დამმუშავებელ მრეწველობაში იყო, სადაც 2018 წელს 44 მლნ დოლარით მეტი პუი შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს.

2018 წელს ყველაზე მეტი პუი საფინანსო სექტორში შემოვიდა – 278 მლნ დოლარი, თუმცა 2017 წელთან შედარებით აქაც შემცირებაა 25 მლნ დოლარით. მეორე ადგილზე ტრანსპორტია 210 მლნ დოლარით, მიუხედავად იმისა, რომ ამ სექტორში ინვესტიციები ყველაზე მეტად შემცირდა. მესამე ადგილზე ენერგეტიკაა 157 მლნ დოლარით. ყველაზე ცოტა ინვესტიცია კავშირგაბმულობაში შემოვიდა და შედეგად, ამ სექტორში ინვესტიციებმა ზრდის ნაცვლად მოიკლო 35 მლნ დოლარით. 13 მლნ დოლარი შემოვიდა ჯანდაცვაში, ხოლო 16 მლნ დოლარი – სოფლის მეურნეობაში. ეს ორი სექტორი ტრადიციულად ნაკლებად იზიდავს ინვესტიციებს.

ქვეყნების მიხედვით, ინვესტიციები ყველაზე მეტად თურქეთიდან შემცირდა – 299 მლნ დოლარით. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 225 მლნ დოლარით და ნიდერლანდები 189 მლნ დოლარით. მნიშვნელოვანი კლება იყო კვიპროსიდან და ჩეხეთიდანაც. ზრდით კი გერმანია იყო გამორჩეული, საიდანაც 2018 წელს 137 მლნ დოლარით მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს. 40 მლნ დოლარით გაიზარდა ლატვიიდან და 27-27 მლნ დოლარით მალტიდან და სამხრეთ კორეიდან.

მიუხედავად მნიშვნელოვანი კლებისა, 2018 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია აზერბაიჯანიდან შემოვიდა – 240 მლნ დოლარი. მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფოა 204 მლნ დოლარით. 100 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან და აშშ-დანაც.

საქართველოს მთავრობის წევრებმა ინვესტიციების შემცირების ძირითად მიზეზებად მაგისტრალური გაზსადენის, "შაჰდენიზ 2"-ის მშენებლობის დასრულება და რამდენიმე უცხოური საწარმოს საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლა დაასახელეს. გაზსადენის მშენებლობა ტრანსპორტის სექტორს მიეკუთვნება და სწორედ ამან გამოიწვია ტრანსპორტის სექტორის $263-მილიონიანი კლება. გაზსადენის პროექტში ინვესტორები თურქეთი, აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო იყო, რადგან გაზსადენს, რომელიც აზერბაიჯანის გაზს თურქეთს მიაწვდის, "BP" აშენებს. 2014-2017 წლებში ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. თუმცა, როდესაც ამ პროექტის გამო 2014-2017 წლებში ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, საქართველოს მთავრობის წევრები ინვესტიციების მატებაზე საუბრისას "შაჰდენიზზე" არ მიანიშნებდნენ და სხვა გარემოებებით ხსნიდნენ მატებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტრანსპორტის შემდეგ პუი ყველაზე მეტად

მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორში, უძრავ ქონებაში შემცირდა. ეს ლოგიკურია, რადგან 2018 წელს საქართველოს ეკონომიკის სამშენებლო სექტორი 3%-ით შემცირდა, რაც სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებამ, სამშენებლო ნებართვების გაცემის შემცირებამ და იპოთეკური სესხების შეზღუდვამ განაპირობა.[6]



[6] წყარო: Forbes Georgia
https://forbes.ge/news/6083/saqarTveloSi-investiciebi-2009-wlis-donezea

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018[7] წლის I კვარტალში (%)



77

[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო; პირდაირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები http://www.economy.ge/uploads/ek_mimokhilva/fdi_investiciebi/investments



საქართველოს და აგრეთვე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასშტაბური და გრძელვადიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი მაჩვენებელის ერთობლიობა განაპირობებს.

საქართველოსთვის ნეგატიურ ფაქტორებში შეგვიძლია განვიხილოთ: მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად წერა-კითხვის და დიპლომიანთა თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებლისა მოსახლეობის ერთ სულზე); ორი კონფლიქტური რეგიონის არსებობა; მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა.

თუმცა, არსებობს პოზიტიური მხარეებიც, როგორებიცაა: საკანონმდებლო ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, დაბალი გადასახადები, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. თუმცა, ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას.

ცხრილი: წლების მიხედვით შემოსული ინვესტიციების რაოდენობა თანხობრივად №1

							მილიონი აშშ დოლარი
წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018*	2019*
სულ	**1 020.5**	**1 817.7**	**1 665.6**	**1 565.8**	**1 894.5**	**1 232.4**	**281.1**
I კვ	290.3	326.6	335.0	378.8	393.6	300.1	281.1
II კვ	216.4	209.7	483.0	411.5	355.8	390.4	
III კვ	265.8	740.5	515.9	491.7	622.8	344.7	
IV კვ	248.0	540.9	331.7	283.7	522.2	197.1	

მას შემდეგ, რაც საქართველოდან საზღვარგარეთ (ოფიციალურად) განხორციელებული პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1999 წელს დაფიქსირდა, საქართველოს ყოველწლიური ნეტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მათი სიმცირიდან გამომდინარე, თითქმის იგივე იყო, რაც საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თუმცა აღსანიშნავია რომ, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც (აბსოლუტურ მაჩვენებლებში) 2000-იანი წლების დასაწყისთან შედარებით მრავალჯერაა გაზრდილი ($1-დან $10 მილიონამდე 2013-2018 წლებში) და 2013 წლიდან ყოველწლიურად $100 მილიონს აჭარბებს.

მას შემდეგ, რაც საქართველოდან საზღვარგარეთ (ოფიციალურად) განხორციელებული პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1999 წელს დაფიქსირდა, საქართველოს ყოველწლიური ნეტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მათი სიმცირიდან გამომდინარე, თითქმის იგივე იყო, რაც საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თუმცა აღსანიშნავია რომ, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც (აბსოლუტურ მაჩვენებლებში) 2000-იანი წლების დასაწყისთან შედარებით მრავალჯერაა გაზრდილი ($1-დან $10 მილიონამდე 2000-2004 წლებში) და 2010 წლიდან ყოველწლიურად $100 მილიონს აჭარბებს (2011 წ. - $147 მლნ; 2012 წ. - $297 მლნ; 2013 წ. - $113 მლნ).

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის ინვესტიციები სულ ცოტა შვიდი წლის განმავლობაში სტაბილურად უნდა იზრდებოდეს. აშშ-ის კომპანიები კი იაფი მუშახელისა, თუ რესურსებისათვის საწარმოებს ხსნიან ხან მექსიკაში, ხან გვატემალაში (ცენტრალური ამერიკა), ხან ბანგლადეშში და ხანაც ნეპალში (აზია). ისმის კითხვა ასეთი არასტაბილური და ხანმოკლე ინვესტიციები რამდენად ხელსაყრელია საქართველოსთვის?!

ზოგადად, ქვეყნისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასიკეთოა, რადგანაც ინვესტიციების შემოდინება ზრდის უცხოური ვალუტის ნაკადებს, რითაც ის ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. სწორედ ამიტომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ცალსახად დადებითი მოვლენაა. თუმცა, კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგისა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა უცხოური ქვეყნებიდან ეკონომიკის გარკვეულ სექტორში ინვესტირება შესაძლებელია რისკის მატარებელი იყოს და ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებთან შეუთავსებლად განიხილებოდეს. ამ კონტექსტში, გასარკვევია რუსული კაპიტალის შემოსვლა საქართველოში რომელ დარგში არის კარგი და რომელ დარგში ცუდი. მაგალითად, თუ რუსი ინვესტორი საქართველოში ააშენებს სასტუმროს, ამაში არაფერია ცუდი. იგი მას ზურგზე არ მოიკიდებს წასაღებად. იგივე ითქმის ჰესებზეც. მაგრამ ეკონომიკურად მიზანშეუწონლად მიგვაჩნია რუსული ინვესტიციების ჩადება რკინიგზაში, ან თუნდაც პორტებში, რადგანაც ეს კორიდორი პირდაპირ კონკურენციაშია რუსულ კორიდორთან. თუ რკინიგზა გადაეცემა რუსეთს, მაშინ იგი შეეცდება ამ კორიდორში უფრო ნაკლები ტვირთი გაატაროს და საქართველო დააზარალოს. თუმცა, სხვა სფეროებში, სადაც ასეთი საფრთხეები ნაკლებია (მაგალიათათ, ჰესები, სატელეკომუნიკაციო კავშირები), აჯობებდა რუსული კაპიტალის შემოსვლა.

მოცემული მასალის ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუნქტურის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, მის გლობალიზაციაში აქტიურ ჩართულობაზე მოგვითითებს და ცხადყოფს, რომ გლობალური საკითხები ხშირად განაპირობებენ ლოკალურს (მცირე ქვეყნების/ეკონომიკების შემთხვევაში), ისევე, როგორც, ლოკალური - გლობალურს (დიდი ქვეყნების/ეკონომიკების შემთხვევაში). შესაბამისად, საქართველოში შემოდინებული, თუ საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირდაპირ კავშირშია, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურსაკითხებთან.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2019* წლის I კვარტალში



რაც შეეხება კომპანიებს, რომლებშიც 2019 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მეტი FDI განხორციელდა, სია შემდეგნაირად გამოიყურება:
აიდიეს ბორჯომი საქართველო
შპს მაგთიკომი
შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი
სს RMG Copper
სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური
შპს ტოიოტა კავკასია
შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგ
შპს სითი ლოფთი
შპს სითი ლოფთი
შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი
BP ჯგუფი

საწარმოები არ არის დალაგებული რეიტინგის მიხედვით, ამასთან საქსტატი არ გასცემს ინფორმაციას თუ კონკრეტულად რა მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა აღნიშნულ კომპანიებში საანგარიშო პერიოდში.

წლის პირველ კვარტალში ირლანდიიდან 133 მლნ დოლარის ინვესტიციის შემოსვლა კი სავარაუდოდ კომპანია Adjarabet–ის წილის გასხვისებას უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ Adjarabet-ის 51%-იანი წილი ირალნდიურმა Paddy Power Betfair-მა შეიძინა. გარიგების ღირებულებად კი 116 მლნ ევრო სახელდებოდა.

საერთაშორისო ფინანსურმა გამოცემამ GLOBAL FINANCE-მა საქართველო, ეკონომიკურ სტაბილურობაზე, მმართველობისა და ბიზნეს რეგულაციების ხარისხის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ყველაზე დინამიური საინვესტიციო მიმზიდველობის მქონე ქვეყანებს შორის დაასახელა.

GLOBAL FINANCE-მა საქართველო იმ ქვეყნებს მიაკუთვნა, რომლებიც საყურადღებოა მკვეთრი ზრდისა და ინვესტორების მხრიდან ინტენსიური ინტერესიდან გამომდინარე.

საქართველოსთან ერთად აღნიშნულ ჯგუფში შედიან პოლონეთი, უნგრეთი, მონტენეგრო და მოლდოვა.

GLOBAL FINANCE-ი აღნიშნული შეფასებისას ეყრდნობა ხუთ ეკონომიკურ კომპონენტს: მშპ-ს ზრდის პროგნოზს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილებას, კორუფციის აღქმას ქვეყანაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ბიზნესის კეთების სიმარტივეს. ამასთან, ეკონომიკური კომპონენტების მიხედვით, საქართველო ხვდება ტოპ 10 საუკეთესო შედეგის მქონე ქვეყნებს შორის ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით მსოფლიო ბანკის "ბიზნესის კეთების" რეიტინგზე დაყრდნობით.

საქართველოსთან დაკავშირებით დადებით ფაქტორებს შორის აღნიშნულია:

სწრაფად განვითარებადი ბიზნეს გარემო და მჭიდრო კავშირი ევროკავშირთან. ხელისშემშლელ ფაქტორებად სახელდება: დაძაბულობა რუსეთთან, კვლევებისა და განვითარების დაბალი მაჩვენებელი, რეგიონში არსებულ ეკონომიკურ შოკებზე მაღალი დამოკიდებულება.

GLOBAL FINANCE-ის შეფასებით, გლობალური სავაჭრო დაძაბულობის და შიდა პრობლემების გამო, 2018 წელი მრავალი ეკონომიკისთვის გარდამავალი წელი აღმოჩნდა ვალუტების მერყეობის, სასაქონლო ფასების კლებისა და ინვესტორთა ნდობის შემცირების თვალსაზრისით. გამოცემის შეფასებით, ამ ფონზე საქართველო არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ხასიათდებიან შთამბეჭდავი ზრდითა და ინვესტორებისგან მზარდი ინტერესით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2019 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლიურად ეს მაჩვენებელი 6.3%-ით შემცირდა.

2018 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რიცხვი 300.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. 2011 წლის შემდეგ, წლის პირველ კვარტალში ასეთი მცირე მოცულობის ინვესტიციები არ შემოსულა.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ირლანდია იყო, საიდანაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 47.4% შემოვიდა. მას მოსდევს გაერთიანებული სამეფო (15.1%) და აშშ (8%).

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სიაში მოხვდა ოფშორული ზონაც (პანამა, 6%), ქართული ბიზნესები ოფშორებს ხშირად რეინვესტირებისთვის იყენებენ. მსხვილი ქართული კომპანიების ნაწილი ევროკავშირის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული, შესაბამისად მათი ბრუნვის ნაწილი უცხოურ ინვესტიციებად აღიქმება.

დარგობრივად, ყველაზე მეტი ინვესტიცია კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სფეროში განხორციელდა (49.7%). საფინანსო სექტორზე ინვესტიციების 15.2% მოდიოდა, ტრანსპორტზე კი 10.2%.

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განმარტებიდან გამომდინარე გულისხმობს, რომ ოპერაციები ხორციელდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ხდება ამ სახსრების დაბანდება. შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ერთი შეხედვით ვერ იქნება უარყოფითი მოვლენა, ვინაიდან მას თან ახლავს, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ეფექტები, პირველ რიგში იზრდება გადასახადის გადამხდელ საწარმოთა რაოდენობა და ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო შემოსავლის, ასევე იზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა, დღევანდელი რეალობის პირობებში უდიდესი სოციალური მნიშვნელობა აქვს დასაქმების მაჩვენებლების ზრდას. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას თან ახლავს ახალი ტექნოლოგების შემოდინება და მუშახელის კვალიფიკაციის ზრდასა და გადამზადებაზე ხარჯების ზრდას რაც ქმნის ისეთ დადებით ეფექტს, რომლეიც სასარგებლოა საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის.

მაგრამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოფიციალური მაჩვენებელი, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ითვლის არ არის სრულყოფილი მაჩვენებელი, რადგან იგი მხოლოდ რაოდენობრივ ჭრილში გვიჩვენებს ინვესტიციბის ზრდას ან კლებას, მაგრამ მისი ხარისხობრივი ხასიათი აბსოლიტურად უცნობია. ამიტომ აქ ჩნდება მთავრობის მნიშვნელოვანი როლი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზს და გამოავლინოს ინვესტიციები, რომლებიც რეალურად გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გარანტორი.

	2014	2015	2016	2017	2018*	I 2019*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	29.2	31.8	34.0	37.8	41.1	9.7
მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	25.6	26.3	27.1	28.4	29.7	6.6
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	4.6	2.9	2.8	4.8	4.7	4.9
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	3.8	5.9	4.2	6.1	3.6	2.4
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი**	7 837.4	8 524.3	9 129.0	10 152.0	11 013.9	2 617.2
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი**	4 438.3	3 754.9	3 857.3	4 046.8	4 345.5	981.0
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	16.5	14.0	14.4	15.1	16.2	3.7

[8] №2 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

ტერიტორიაზე წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას და მის მნიშვნელობაში განმსაზღვრელი არ არის რეზიდენტობა, განსხვავებით მეპისგან, რომელიც მხოლოდ რეზიდენტების საქმიაონობას მოიცავს, შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა გავლენას ახდენს მთლიანიში და პროდუქტის ზრდაზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელშიც აისახება ეკონომიკური ზრდა.

მზარდი ინვესტიციური აქტივობის შედეგად გაიზრდება დასაქმება. საერთაშორისო სტანდარტებით ყოველი ახალი სამუშაო ადგილის შექმნისათვის საჭიროა 25000-დან 50000 აშშ დოლარამდე ინვესტიცია. შესაბამისად, 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმისათვის დაგვჭირდება 5-დან 10 მილიარდამდე აშშ დოლარი. ჩვენი აზრით, საქართველოში ამ რაოდენობის ინვესტიციების შემოსვლა სავსებით რეალურია პროგნოზირებადი სტაბილურობისა და ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში. ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სახსრები ჩაიდოს არა უძრავ ქონებაში, ვთქვათ, მიწის ნაკვეთში, ბინაში, არამედ ეკონომიკის რეალურ სექტორში, არა მხოლოდ აგარაკების, არამედ საწარმოთა, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტუქტურის მშენებლობაშიც. ასეთი მიდგომით სამუშაო ადგილები შეიქმნება არა მხოლოდ ობიექტის მშენებლობის, არამედ მისი ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგაც. საქართველოს ეკონომიკის სისტემური განვითარებისათვის ინვესტიციების დივერსიფიცირება უნდა მოხდეს რეგიონულ და დარგობრივ ჭრილშიც. რისკების შემცირებისათვის საქართველოს კომპანიების პორტფელში არცერთი ქვეყნის, მათ შორის არაპროგნოზირებადი რუსეთის, ინვესტიციების წილი 25%-ს არ უნდა

[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო; მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

აღემატებოდეს. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ როდესაც ინვესტიციები შემოდის განვითარებადი ქვეყნებიდან, მას თან მოჰყვება იაფი სამუშაო ძალა და ამით საქართველოში უმუშევრობა წახალისდება. ამიტომ, მიზანშეწონილია უცხოური ინვესტიციებისადმი დიფერენციული მიდგომა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ინვესტიციებსა და პრივატიზებას გარკვეულწილად აფერხებს სამართლიანობის აღდგენის მოტივით ჩამორთმეული ქონების (ბიზნესის) უკან დაბრუნების სრწაფი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის უქონლობა. არადა, ზოგ ქონებამ (ბიზნესმა), ჩამორთმევის შემდეგ, მესაკუთრე სამჯერ და მეტჯერ შეიცვალა და დღეს ის იმის ხელშია, ვინც კანონის სრული დაცვით შეიძინა. შეშინებული პოტენციური ინვესტორი კი ფრთხილობს და ფიქრობს, „ვაითუ, შევიძინე ქონება და მერე აღმოუჩნდა მას მესაკუთრე, ხომ დავზარალდებიო?!. რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებათან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, თუ არ გაიმიჯნა კანონმდებლურად „გარედან ინვესტირებისა` და „შიგნიდან რეინვესტირების` ცნება და შესაბამისი ვალდებულებანი, უცხოელი ინვესტორი შეეცდება ნაკლების ინვესტირებას გარედან და მეტის რეინვესტირებას შიგნიდან. გამოვა, რომ უცხოური ინვესტიციები მცირე რაოდენობით შემოვა საქართველოში. ესტონური გამოცდილებიდან გამომდინარე, რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან განთვასისუფლებათან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იქ, ჩვენგან განსხვავებით, დაახლოებით 33 პროცენტიანი სოციალური გადასახადია (აქედან შემოსავლების 20% მიემართება საპენსიო ფონდში, ხოლო 13%-სამედიცინო დაზღვევის ფონდში), რის გამოც კომპანიების საგადასახადო ტვირთი დაახლოებით სამჯერ „მძიმეა, ვიდრე საქართველოში ჩემი აზრით, „ესტონური სიახლით` დამქირავებელზე და დაქირავებულზე ისედაც არათანაბრად განაწილებული საგადასახადო ტვირთი კიდევ უფრო არათანაბრად განაწილდება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ესტონეთი ევროზონაში იმყოფება და არ არის დოლარიზებული. შესაბამისად, ევრო დოლართან მიმართებაში რომ გაუფასურდეს ეს ესტონელების ყიდვისუნარიანობაზე არ იმოქმედებს. მათგან განსხვავებით, მაღალ დოლარიზებულ საქართველოში, ლარის 40%-იანი დევალვაციისა და თანმდევი რევალვაციის პირობებში, რომელი კომპანია მოახდენს მოგების რეინვესტირებას?! ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის არა დევალვაცია, ან რევალვაცია, არამედ სტაბილურობა, რასაც საქართველოში მეორე წელია ვერ ვხედავთ. გასათვალისწინებელია ისიც, კომპანია ექსპორტიორია, თუ იმპორტიორი, რადგანაც ექსპორტიორს ხელს აძლევს ლარის დევალვაცია, იმპორტიორს კი პიქით - ლარის რევალვაცია. უცხოელ ინვესტორთათვის საქართველოში მიმზიდველი და კომფორტული ბიზნესგარემოს ჩამოყალიებებისათვის აუცილებელია: პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, პარტნიორ ქვეყნებთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, მეწარმის უსაფრთხოებისა და კერძო საკუთრების უფლებისა და გარიგებების

მკაცრად დაცვა, ჯანსაღი კონკურენცია, სამეურნეო და კომერციული დავების სამართლიანი და ოპერატიული გადაწყვეტა, კანონის უზენაესობა, დასავლეთთან შედარებით იაფი სამუშაო ძალა, ელექტრონული წესის გამოყენების გამო ბიზნესის რეგისტრირების, დაწყებისა და დაბეგვრის სიმარტივე, მისაღები საგადასახადო წნეხი და ადმინისტრირება, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, მცირე ბიუროკრატია და კორუფცია, თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო რეიტინგში მოწინავე ადგილი და სხვა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ შესაძლებელია ქვეყანაში არსებობდეს ინვესტიციები, მაგრამ არახელსაყრელი ბიზნესგარემოსა და მომგებიანი საინვესტიციო პროექტების უქონლობის გამო, გარეთ გაედინებოდეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია საქართველოში გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე დავიდეს ბიზნესგარემოს გამაუარესებელი ისეთი სამთავრობო გადაწყვეტილებები, როგორიცაა: ტურისტთა ნაკადების შემამცირებელი სავიზო რეჟიმი, ინვესტიციების შემაკავებელი შრომითი მიგრაციის კანონი, მიწებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შემზღუდველი კანონები და სხვა, რაც ამცირებს ქვყანაში დოლარის შემოდინებას, ხელს უწყობს ლარის დოლარის მიმართ გაუფასურებასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას. ბიზნესგარემოს გამაუარესებელი გადაწყვეტილებების თავიდან აცილებისათვის გარკვეული ინიციატივები, რომელიც ბიზნესს შეეხება, ვიდრე კანონპროექტად ან კანონად იქცევა, საფუძვლიანად უნდა იქნას განხილული ბიზნესწრეებთან. ასევე, მნიშვნელოვანია სამეწარმეო განათლების დონის ამაღლება მომგებიანი ბიზნეს-პროექტების შემუშავებისა და ეფექტიანი რეალიზაციისათვის. ეს იმიტომ, რომ გლობალიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი საქართველოს მეწარმენი საქმიან ურთიერთობებს ამყარებენ არა მხოლოდ სამამულო, არამედ ახლო საზღვარგარეთის ანუ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისა და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორებთანაც. თუმცა, თანამემამულე ბიზნესმენები ყოველთვის როდი ფლობენ ჯეროვნად ინფორმაციას მენეჯმენტის დასავლური სისტემების, მათი პრინციპების, გამოცდილების, კულტურული და სამართლებრივი თავისებურებების შესახებ. რის გამოც განიცდიან სიძნელეებს გადაწყვეტილების მიღების, უცხოელებთან თანამშრომლობის, მათი ნდობის მოპოვებისა და, რაც მთავარია, საკუთარი უფლებების დაცვის პროცესში. უცხოელი მეწარმენი, ამყარებენ რა კონტაქტებს, რომელიმე ადგილობრივ კომპანიასთან, პირველ რიგში ინტერესდებიან ისეთი საკითხებით, როგორიცაა უსაფრთხოება, დამოკიდებულება უცხოელი ბიზნესმენების მიმართ, პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა, სახელმწიფო ბიუროკრატია, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება, კომპანიისადმი ნდობა, მის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონების დაცვა, მისი რეპუტაცია საზოგადოებაში და სხვა.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, საერთაშორისო ფულადი გზავნილები, რომელიც ქვეყანაში ჩვენი ემიგრანტების მხრიდან შემოდის, საქართველოსთვის უცხოური ვალუტის მიღებისა და იმპორტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. ბოლო პერიოდში ფულადი ტრანზაქციები გამოიყენება არა მხოლოდ მოხმარების, არამედ ინვესტირებისათვისაც. ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში მშპ-ის 6%-ს შეადგენს. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობის ოფიციალური დახმარების სხვადასხვა წყაროსგან განსხვავებით, ფულადი გზავნილებისთვის არ არის დამახასიათებელი უკუნაკადები პროცენტის, ვალის ან დივიდენდის გადახდის ფორმით. შესაბამისად, საქართველოში უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად ჩარიცხვებს დიდი გავლენა აქვს დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და მსყიდველობითუნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2010-2013 წლებში, ფულადი გზავნილების მოცულობა მუდმივად იზრდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით 2014 წლის მაჩვენებელზე, რომელიც წინა წელთან შედარებით 2.5%-ით (36 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა. საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობის კლება კიდევ უფრო გაძლიერდა 2015 წელს. მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით აღნიშნულმა მაჩვენებელმა 632 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით 24%-ით (202.3 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა. 2015 წლის იანვარ-ივლისში უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92% თორმეტ უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის. ამ პერიოდში რუსეთიდან განხორციელებული გადმორიცხვების მოცულობამ 247.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 172.2 მლნ აშშ დოლარით (41%-ით) ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე. რუსეთის ხვედრითი წილი 2015 წლის იანვარ-ივლისის თვეში, საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობაში 39.2%-ს შეადგენს და 11.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე (50.3%). სავსებით ბუნებრივად, საბერძნეთში განვითარებული კრიზისული მოვლენები უარყოფითად აისახა ამ ქვეყნიდან საქართველოში ივლისის თვეში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობაზე. 2015 წლის ივლისში საბერძნეთიდან ჩვენს ქვეყანაში შემოსული ფულადი გადმორიცხვების მოცულობამ 4.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14.2 მლნ აშშ დოლარით (76%) ნაკლებია 2014 წლის ივლისის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შესაბამისად საბერძნეთმა დაკარგა მეორე ადგილი, რომელიც წინა წლის ივლისის თვის ფულადი გადმორიცხვების მოცულობაში ეჭირა. რაც შეეხება 2015 წლის იანვარ-ივლისის მაჩვენებელს, საბერძნეთიდან საქართველოში შემოსული ფულადი გადმორიცხვების მოცულობა 87.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა და 34 მლნ აშშ დოლარით (28%) შემცირდა 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით. იმავე პერიოდში ფულადი

გზავნილების გზავნილების მოცულობა იტალიიდან 9 მლნ აშშ დოლარით (13%), ხოლო უკრაინიდან 7 მლნ აშშ დოლარით (38%) არის შემცირებული.[9]

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები

საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული გამოცოცხლება 2003 წლიდან, გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შემდეგ შეინიშნება, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოში ინვესტირების უპირატესობებს დაბალი გადასახადები; მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტიანი, ბიზნესის მხარდამჭერი და არაკორუმპირებული მთავრობა; სტაბილური და კონსერვატულად მართული საბანკო სექტორი; საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ვაჭრობის, ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდება; მოქნილი შორმითი კანონმდებლობა; კრიმინალის დაბალი დონე და სხვა (წყარო: საქართველოს მთავრობა). სტრატეგიული გეგმების თანახმად, (საქართველო 2012-2015 და საქართველო 2020) საქართველოს კონკურენტული სისუსტეები (ბაზრის ზომა, გეოპოლიტიკური გამოწვევები) საუკეთესო ბიზნეს-კლიმატით უნდა დაბალანსდეს, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მატებასა და, შედეგად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. იმ ფაქტს, რომ საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა მსოფლიოში ინვესტიციების მოსაზიდად, აღიარებს არამხოლოდ საქართველო, არამედ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციაც, რაც უფრო სარწმუნოსა და სანდოს ხდის მის რეპუტაციას. მსოფლიო ბანკის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში (მით უმეტეს თავის რეგიონში) ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური (სააქციო) კაპიტალისათვის. კვლევის თანახმად, მოცემულ ოცდაცამეტივე სექტორში საქართველო (მონტენეგრო, ჩილე და გვატემალასთან ერთად) აბსოლუტური ღიაობით გამოირჩევა და არავითარი

[9] წყარო: უშანგი სამადაშვილი. დივერსიფიკაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. თბ; 2016წ.

შეზღუდვები არ გააჩნია უცხოური კაპიტალის მიმართ (თუმცა ადგილობრივი ინვესტორები ხშირად აპროტესტებდნენ, რომ უცხოელებისაგან განსხვავებით, მათზე გარკვეული ზეწოლა ხორციელდებოდა), რაც დამახასიათებელია (წყარო: მსოფლიო ბანკი) მაგ:

1. დსთ-ს ქვეყნებისათვის: ა) ყაზახეთში კავშირგაბმულობის სფეროში უცხოური თანამონაწილეობის მაქსიმალური ზღვარი 49%-ს არ აღემატება, ამასთან 10%-სა ან/და $150 მილიონზე და ზევით ინვესტიცია სახელმწიფო ნებართვას ექვემდებარება; ბ) ბელორუსიაში სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენს ენერგოდისტრიბუციის დარგი და ბუნებრივია, უცხოური კომპანიებისათვის იგი ჩაკეტილია;) სომხეთში უცხოური კომპანიებისათვის მოღვაწეობა აკრძალულია კომერციული ხე-ტყის დარგში. 2. საუდის არაბეთში ნავთობისა და გაზის მოპოვებაში, ასევე მედიაში უცხოური კომპანიების თანამონაწილეობის უფლება ნულოვან მაჩვენებელზეა. 3. იაპონიაში უცხოურ კომპანიებს არა აქვთ არავითარი შესაძლებლობა, სახსრები ჯანდაცვის სფეროში დააბანდონ, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი მონოპოლისტური არ არის. აქედან გამომდინარე, უცხოური კომპანიებისათვის შეუძლებელია თუნდაც კლინიკის გახსნა/მართვა. საქართველოს არ გააჩნია არავითარი შეზღუდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით ისეთ სექტორებში, როგორიცაა: სამთო მრეწველობა, ნავთობისა და გაზის სფერო, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მსუბუქი წარმოება, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, საბანკო სექტორი, დაზღვევა, ტრანსპორტი, მედია, მშენებლობა, ტურიზმი და ჯანდაცვა. მაშინ, როდესაც მრავალი ქვეყანა კონკრეტულ სფეროებს მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი გავლენის ქვეშ აქცევს: საფრანგეთი, უკრაინა, ბელორუსი - მედიაზე; რუსეთი - დაზღვევაზე; სომხეთი - სოფლის მეურნეობაზე; თურქეთი - ელექტროენერგიაზე და ა.შ. კვლევა აგრეთვე ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს არავითარი მონოპოლისტური და ოლიგოპოლიური სტრუქტურები, ისევე, როგორც არ არსებობს არავითარი დაბრკოლებები საჭირო ლიცენზიის მისაღებად (თუმცა ქართველ ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლოა, საქმე საპირისპიროდაც იყოს). მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველო მსოფლიოში ლიდერია უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოთათვის რეგისტრაციის სიმარტივითა და მასზე დახარჯული დღეების მიხედვით (რუანდასა და კანადასთან ერთად) – სულ 4 დღე, მაშინ, როდესაც ჩინეთში აღნიშნულ პროცედურას სამ თვეზე მეტი ვადა ესაჭიროება, ანგოლაში კი (უკანასკნელი ადგილი) – 263 დღე. აღსანიშნავია, რომ ზოგადად აღმოსავლეთ ევროპა ბიზნესის რეგისტრაციის კუთხით მთელ მსოფლიოში ლიდერია. მსოფლიოს 10 საუკეთესო ქვეყანას შორის, მოცემული პარამეტრით სწორედ აღმოსავლეთ ევროპა ლიდერობს თავისი 5 წარმომადგენლით (საქართველო, ალბანეთი, ბელორუსი, მაკედონია და თურქეთი). ამასთან ერთად, ბულგარეთი, ხორვატია და რუმინეთი ელექტრონულ რეგისტრაციასაც კი სთავაზობენ როგორც ადგილობრივ ასევე, უცხოელ ბიზნესმენებსაც. საქართველო აგრეთვე ლიდერია

მსოფლიოში ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო პროცედურების მიხედვითაც - 4 პროცედურა, რომელთაგან თითოეულის დამუშავება ერთ დღეშია შესაძლებელი: ა) საზღვარგარეთული მშობელი კომპანიის დოკუმენტაციის ავტორიზაცია; ბ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა (160 ლარი); გ) კომპანიის დარეგისტრირება და შესაბამისი კოდების მიღება; დ) ბანკში კორპორაციული ანგარიშის გახსნა. საქართველოში ინვესტიციის განსახორციელებლად, სამთავრობო ორგანოების მხრიდან ინვესტიციის წინასწარი დამტკიცება საჭირო არ არის, რაც ინვესტიის მოზიდვის კუთხით უამრავ სირთულეს აცილებს ბიზნესმენებს. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ არის საკმარისი პირობა ქყვენის გრძელვადიანი განვითარებისათვის და საჭიროა ინვესტიციათა არა უბრალოდ მოზიდვა ნებისმიერ დარგში, სადაც ამას ინვესტორი მოისურვებს, არამედ მათი წახალისება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სფეროებში, რომელიც მის გრძელვადიან განვითარებაზე იქნება ორიენტრირებული, მაგ: თანამედროვე ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა; ინოვაციები და სხვ. აქვე შეიძლება აღინიშნოს მთავრობის მხრიდან უცხოელი ინვესტორებისადმი უფრო მეტი ლოიალურობა, ვიდრე ადგილობრივებისადმი, რაც ნეგატიურად მოქმედებს ეროვნულ ინვესტორზე. 2013 წლამდე საქართველო (ისევე, როგორც: ყაზახეთი, მოლდოვა, რუმინეთი და სლოვაკეთი) უცხოელ ინვესტორებს მაქსიმალურად გაადვილებულ გზას სთავაზობდა მიწის შესაძენადაც. თუმცა საქართველოში, ახალი მთავრობის მოსვლასთან ერთად, ეს პრაქტიკა შეწყდა. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია მიწის კადასტრის შესახებ დღესაც ადვილად ხელმისაწვდომია უცხოელი ინვესტორებისათვის, რომელთაც გარკვეული პროცედურების გავლის შედეგად შეუძლიათ მიწის იჯარით/ლიზინგით აღება. აღსანიშნავია, რომ დღეების რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა კერძო მესაკუთრისგან მიწის ლიზინგის წესით გადაფორმებისათვის, საქართველო პირველია მთელ მსოფლიოში და ეს პროცედურა მხოლოდ 8 დღეს მოიცავს, მაშინ, როდესაც მაგ: თურქეთსა და საბერძნეთში ამ პროცედურას 15 დღე სჭირდება; პოლნეთში - 146; ხოლო სიერა ლეონესა და ავღანეთში (ბოლო ადგილები), შესაბამისად - 210 და 218. მთავრობისგან ლიზინგის წესით მიწის ნაკვეთის შეძენისათვის კი, რაც უფრო რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, უცხოელ ინვესტორს 50 დღე ესაჭიროება და ეს მსოფლიოში რიგით მეორე მაჩვენებელია საბერძნეთის შემდეგ (20 დღე), მაგალითისათვის, გაერთიანებულ სამეფოში ამ პროცედურას 62 დღე სჭირდება, ინდოეთში - 295, მალაიზიაში (ბოლო ადგილი) კი - 355 დღე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემო ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია არამხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპაშიც და მსოფლიოშიც კი. საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-8 ადგილზეა მსოფლიოს 185 ქვეყანას შორის, თუმცა პრინციპული ხასიათის პრობლემები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ, ხელს უშლიან და, ფაქტობრივად, ანეიტრალებენ იმ წარმატებებს,

რომლებსაც ქვეყანამ უკვე მიაღწია. კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე - გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი. მსგავსი დაბრკოლებები კი აუარესებენ სამეწარმეო გარემოს, ამცირებენ ინვესტორთა ნდობას და უმნიშვნელოს ხდიან სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი: მსოფლიო ბანკის თანახმად, ქონების რეგისტრაციის სიმარტივით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში (Doინგ Bუსინესს, 2014), თუმცა აღნიშნული მიღწევა უსარგებლო ხდება. თუ უფრო დეტალურად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით საქართველო 120-ე ადგილზეა მსოფლიოს 145 ქვეყანას შორის; დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობით - 92-ე და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობისათვის კი სულაც ერთ-ერთი უკანასკნელია (138-ე ადგილი). აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება, რაც სასამართლო სისტემისადმი დაბალ ნდობას უკავშირდება და რომლის გამოსწორების გარეშეც, არცერთი ზემოხსენებული პრობლემის მოგვარება არ არის შესაძლებელი. [10]

[10] ვახტანგ ჭარაია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე) (გვ. 127)
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/vaxtang_charaia.pdf

3.3 რამდენიმე მნიშვნელოვანი ინვესტიცია

საქართველოში ინვესტიციური გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა. დღესდღეობით მსოფლიოში უცხოური დაბანდებების განხორციელების მრავალი ფორმა და მეთოდი გამოიყენება, თუმცა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რადგანაც საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა სწორედ პირდაპირი რეალური ინვესტიციებია. ეკონომიკური რეფორმის მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათი რაციონალური გამოყენება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდა და მისი ჩართულობის დონე მსოფლიო მეურნეობაში.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ უცხოელი ინვესტორების მოტივაციაზე, რომელიც ყველაზე მეტად გამოკვეთილია თანამედროვე ეტაპზე. ესაა, პირველ რიგში, ინვესტირებად ქვეყანაში რესურსებზე არსებულ რეალურზე უფრო დაბალი ღირებულება. ახალი ბაზრების დაპყრობა და სხვა. როდესაც საუბარია უცხოური ინვესტიციების გავლენაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, აქ გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები: პირველ რიგში თუ რამდენადაა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა, როგორია საბაზრო მექანიზმების განვითარების ხარისხი, რამდენადაა მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა და სხვა. იმისდა მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელ სექტორში ხდება ინვესტირება და ინვესტიციების რა ფორმები და მეთოდები გამოიყენება ეკონომიკაზე სხვადასხვანაირად აისახება. ინვესტიციების გავლენა შეიძლება გამოვლინდეს: ეკონომიკის ზრდის ტემპში, ინვესტიციური აქტიურობის გამოცოცხლებაში, ტექნოლოგიური პროგრესის ზრდაში, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვი- თარებაში, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში და სხვა. ინვესტიციების დადებით ეფექტს წარმოადგენს ისიც, რომ ის არა მარტო იმ დარგის განვითარებას იწვევს, სადაც იდება ინვესტიციები, არამედ მომიჯნავე დარგებისაც. ინვესტიციების მოზიდვისას ქვეყანაში შემდეგი ფაქტებია გასათვალისწინებელი:

1. თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში.
2. საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობა.
3. ეკონომიკური ფაქტორები.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად უნდა მოხდეს ხელსაყრელი კლიმატის და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამოყალიბება. როდესაც ქვეყანა განიცდის საკუთარი სახსრების დეფიციტს, შიდა

ინვესტიციების განხორციელებისათვის ერთადერთი გზა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რჩება. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა რაოდენობის ინვესტიციები შემოვა და როგორ მოხდება მათი ეფექტიანად გამოყენება. სწორედ ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა განსაზღვრავს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას. როდესაც საუბარია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ქვეყანაში, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეს ინვესტიციები მიიმართოს ეკონომიკის რეალურ სექტორში. მთლიანობაში, უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყენაში მოზიდული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე. თანაც, აუცილებელია ინვესტიციებმა უზრუნველყოს ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყანაში, დაინერგოს ინოვაციები, ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, აგრეთვე ეკოლოგიური უსაფრთხოება იქნეს დაცული. ყოველივეს გათვალისწინებით ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწორი ინვესტიციური პოლიტიკის განსაზღვრას, რადგან საბაზრო მექანიზმები ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს. შახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად მოხდეს ინვესტირებისადმი მხარდაჭერა იმ დარგებსა და რეგიონებში, რომელთა განვითარება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარია. Mეცნიერულად დასაბუთებული ინვესტიციური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელი იქნება მათ ეფექტიანობაზე საუბარი. ინვესტიციების მოზიდვისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება უცხოელი ინვესტორებისათვის სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები კანონით იქნება დაცული. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს მთავარი მიზანია ისეთი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც კერძო სექტორი თავისუფალი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაში, მაქსიმალურად იქნება დაცული საკუთრების უფლება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია კერძო სექტორი იყოს თავისუფალი და მთავრობის საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ეფექტური. ამისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციური გარემო ჩამოყალიბდეს, სადაც საკუთრების უფლება იქნება მაქსიმალურად დაცული, კორუფციის დონე იქნება დაბალი და სხვა. საქართველო უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ქვეყანაა შემდეგი გარემოებების გამო: აქ მიმზიდველი ეკონომიკური გარემოა, მოქმედებს ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალურია საგადასახადო კოდექსიც, აქტიურად ხდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. აქვს სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებაროება, აგრეთვე გასათვალუისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა. როდესაც ვსაუბრობთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე საქართველოში, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მსოფლიო ბანკის კვლევებზე, მისი ერთ-ერთი პროექტი „Doing

Business" უკვე რამდენიმე წელია იკვლევს მსოფლიო უმეტესობა ქვეყნებს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შეფასების თვალსაზრისით. ამ კვლევის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზე იმყოფება. საქართველო წინა წელთან შედარებით რვა პოზიციით დაწინაურდა. ამ დაწინაურების მიზეზი 2015-2016 წლებში გატარებული რეფორმებია, რომელიც ეხება ქონების რეგისტრაციას, კერძოდ გაუმჯობესდა თბილისში მიწის ადმინისტრირება კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რუკაზე დატანით, რამაც საქართველოს პოზიცია მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივით გააუმჯობესა და მესამე ადგილი დაიკავა. საქართველოში აგრეთვე გაძლიერდა მცირე ინვესტორების დაცვა მინოტარ აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში, რის გამოც მეშვიდე ადგილი დაიკავა. ელექტრონული დამუშავების სისტემის გაუმჯობესებამ ექსპორტისა და იმპორტის დოკუმენტების უფრო სწრაფად წარდგენის საშუალება მოგვცა, აგრეთვე დაინერგა წინასწარი ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. ყოველივე ამან საგარეო ვაჭრობის სიმარტივის მიმართულებით საქართველო 54-ე ადგილზე გაიყვანა. საგადასახადო სისტემის კუთხით საქართველო 22-ე პოზიციას იკავებს. კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო საქართველომ 2016 წელს 9 პოზიციით უკან დაიხია და 24-ე ადგილი დაიკავა, თუმცა 2006 წელს მას 98-ე ადგილი ეკავა.

განვიხილოთ რამდენიმე უმსხვილესი ინვესტიცია, რომლებიც საქართველოში განხორციელდა:

"ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური "ზონის პროექტი 2012 წლის 7 ივლისს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო მშენებლობა, რომლესაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება რეგიონული ლოჯისტიკის და ვაჭრობის კუთხით. ეს არის უმსხვილსი ჩინური ინვესტიცია, რომლის ღირებულა 300 მლნ დოლარს გადააჭარბებს. მისი დასრულების ვადა 10 წელზეა გათვლილი და იკავებს 420 ჰექტარს. კაპიტალდაბანდებების მოცულობის მიხედვით ეს არის ყველაზე მსხვილი ჩინური ინვესტიცია საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ ივესტიციის განხორციელება დიდ პოტენციალს ჰპირდება საქართველოს რეგიონული ვაჭრობის და ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, თუმცა რეალური შედეგი არის ის, რომ დასაქმებულია 3000 ადამიანი. ასევე ხელს უწყობს მსოფლიოში უმსხვილესი ბაზრის მქონე ქვეყანასთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

უკანასკნელ წლებში ყველაზე მნიშვნელოვან და მომგებიანი ინვესტიციების რიცხვს მიეკუთვნება BPის მილსადენები, კომპანია საქართველოში ინვესტიციებს ახორციელებს 1996 წლიდან და გარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა მას ქვეყნისთვის მოაქვს სოციალური და პოლიტიკური სარგებელიც. კომპანიას დაახლოებით 1.5 მლრდ დოლარი აქვს დაბანდებული სოციალურ და

ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტებში და ასევე მილსადენები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის გეოპოლიტური თვალსაზრისით ქვეყნის მნიშვნელობას ზრდის. ასევე კომპანია გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობის აქტიური როლით, შრომის უსაფრთხების, გარემოს დაცვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართ გასაკუთრებით ყურადღებიანი დამოკიდებულებით.

"ტოიოტა ცენტრი თეგეტა" 2014 წიდან "თიბისი ბანკისა" და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ხელშეწყობით განხორციელდა სოლიდური ინვესტიცია საქართველოში. სამწუხაროდ ვერ მოვიპოვე ზუსტი ინფორმაცია დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ დაახლებით მათი რიცხვი 150 ადამიანს შეადგენს. ინვესტირების თანხა, როგორც ოფიციალური გვერდი გვაუწყებს შეადგენს 11 მილიონამდე ლარს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტოიტოა ცენტრი აღჭურვილია უახლესი ავტორიზებული პროგრამით და უზრუნველყობს დასაქმებულთა პერიოდულ ტრენინგს.

"რიქსოს ბორჯომი"დაახლოებით 48 მილიონიანი ინვესტიცია, რომელიც ყაზახურმა კომპანიამ "ყაზმუნაიგაზ სერვისმა" და საპარტნიორო ფონდმა განახორციელა. ამ ინვესტიციისს შედეგია ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ბორჯომში, სრულყოფილი ინფრასტრუქტურით და 200 დასაქმებულით, თუმცა უნდა აღვნიშოთ ასევე ის, რომ სასტუმროს მშენებლობაზე 600მდე ადგილობრივი ადამიანი მუშაობდა.

მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა იტალიური ტკბილეულების გიგანტის "ფერეროს" მიერ. კომპანიის წარმომადგენლები პერიოდულად ატარებენ ტრენინგებს, მათ სამეგრელოში ჩაატარეს ტრენინგი და ფერმერებს შეასწავლეს კულტივაციის მოწინავე ტექნოლოგიები, დასაქმებული ყავთ 150 ადამიანი და სეზონურობის მიხედვით ასევე ასაქმებენ ასეულობთ მუშახელს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს კაპიტალის დიდი რაოდენობა, რომლის რეინვესტირების საშუალებაც იქნება, შესაბამისად არც იმდენად მსხვილი კომპანიები, რომლებიც შეძლებდნენ კაპიტალის ამ რაოდენობის დაგროვებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი შესაძლებლობას იძლევა ქვეყანში შემოვიდეს დიდი მოცულობის კაპიტალი, თუმცა უცხოური, მაგრამ ეს ზრდა გრძელვადიან პერსპექტივებს არ ითვალისწინებს.

გასულ თვეში "ბიზნეს მედია საქართველომ" გაავრცელა იმ ტოპ 10 კომპანიის სია, რომლებმაც 2018 წელს საქართველოში ყველაზე მეტი პუი განახორციელეს. ესენია:

აიდიეს ბორჯომი საქართველო – დამმუშავებელი მრეწველობა

შპს მაგთიკომი – კავშირგაბმულობა

BP ჯგუფი – ტრანსპორტი

სს ენერგო-პრო ჯორჯია – ენერგეტიკა

სს ღMG ჩოპპერ- სამთომოპოვებითი მრეწველობა

შპს ჯორჯიან მანგანეზი- დამმუშავებელი მრეწველობა
შპს აჭარისწყალი ჯორჯია – ენერგეტიკა
ერთობლივი საწარმო აზფენ-ის საქართველოს ფილიალი – მშენებლობა
შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი – სასტუმროები
სს ნენსკრა ჰიდრო – ენერგეტიკა

უკვე 2019 წელია, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რამდენი ინვესტიცია შემოვიდა პირველ კვარტალში, თუმცა ცხადია, რომ ინვესტიციების მატების კუთხით სერიოზული გამოწვევის წინაშე ვართ, თუნდაც 2017 წლის მონაცემებს რომ დაუბრუნდეს. ეს იმ ფონზე, როდესაც ბოლო დროის ერთი-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტის – ანაკლიის პორტის მშენებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პორტის მშენებლობის შეჩერება 2019-2020 წლებში საქართველოს მინიმუმ 500 მლნ დოლარის ინვესტიციას დააკარგვინებს. ამას ემატება "თიბისი ბანკზე" ზეწოლაც და სხვა ბიზნესმენების "ალაპარაკება" მთავრობის მხრიდან არასათანადო დამოკიდებულებაზე. რაც პოზიტიურია, ის არის, რომ საკრედიტო სააგენტო "ფიტჩმა" საქართველოს რეიტინგი "BB-"-დან "BB"-მდე გაზარდა. ამ ცვლილებამ ფაქტობრივად დაასწრო "თიბისი ბანკისა" და ანაკლიის პორტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, თორემ ნაკლებად სავარაუდო იყო, ეს წინსვლა მიგვეღო.

2018 წელს ინვესტიციების 35%-იანი კლების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა, რადგან ეკონომიკის ზრდა დიდწილად ტურიზმისა და პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვნად ზრდამ განაპირობა. ასევე, 2017 წელს იყო პუი-ის მნიშვნელოვანი მატება, რამაც გავლენა 2018 წელზეც იქონია. მიმდინარე წელი ტურიზმისა და ექსპორტის დაბალი ზრდით დაიწყო და ნაკლებად სავარაუდოა, 2018 წლის ტემპს მიაღწიოს. შესაბამისად, ინვესტიციების გავლენა უფრო მნიშვნელოვანი იქნება და მისი მოცულობის ზრდის გარეშე, თუნდაც გასული წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის – 4.7%-ის მიღწევა ძალიან გაჭირდება. ეს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შენელებას ნიშნავს.

3.4 პრაქტიკული მტკიცებულება

ყველა უცხოური ინვესტიციის ქვეშ დგას უცხოური მართვის სტილი. საქართველო ბიზნესის კეთების სფეროში არ არის წამყვანი, შესაბამისად ბევრი მოდელი, თუ სისტემა ჩვენთვის უცნობია. აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაგალითზე ბევრმა ფირმამ და საწარმომ შეიძლება დანერგნონ/გადმოიღონ მართვის ან ხარისხის კონტროლის პოლიტიკა. ამავდროულად იზრდება კვალიფიკაციის ხარისხიც და სამომავლოდ მივიღებთ კვალიფიცირებულ მუშა-ხელს. ძალიან ხშირია დიდი კომპანიებისგან და არამარტო, კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა და ეს მიდგომა გახშირებულია სწორედ მას მერე რაც შემოვიდა უცხოური ინვესტიციები. ეს ყოველივე პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ერთ ვაკანტურ ადგილას ტოპ მენეჯერის პოზიციაზე დავუშვათ მოდის 5-8 მდე მაღალკვალიფიცირებული კადრი. არის ერთი უარყოფითი მხარეც. მაგალითად: როდესაც მენეჯერი მუშაობს რომელიმე საკმაოდ ცნობილ ფირმაში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე და ეს კომპანია გლობალურია, ხშირად ხდება მათი სხვა ქვეყანაში გადასვლა გადაცხოვრება თავიანთივე წინსვლის გამო და იმ მიზნით, რომ საზღვარგარეთ უფრო მეტად დააფასებენ. ანუ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ჯერ-ჯერობით ვიყოთ რომელიმე გიგანტი ფირმის დედა ქვეყანა, იმართებოდეს ჩვენი ქვეყნიდან და ა.შ. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ქვეყნიდან ხდება ტვინების გადინება. თუმცაღა ამ მიზეზით ტვინების გადინება სჯობს ვიდრე განათლება მიღებული კვალიფიციური კადრის თავის ქვეყანაშივე უმუშევრად დარჩენას. ერთ-ერთ უკუჩვენებად უნდა განვიხილოთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობაც. ნაკლები მოტივაცია უცხოური ფირმებისგან ვლინდება მაშინ, როცა ესმით საქართველოს პოლიტიკური არეულობები, დაძაბულობები და მთავრობის ხშირი ცვლილება და ერთპიროვნული ან ერთფრაქციული მმართველობა. ბოლო 16 წლის განმავლობაში მთავრობა შეიცვალა 3-ჯერ და ყოველთვის სათავეში ვინც იყო ჰყავდა საპარლამენტო უმრავლესობა. ბოლო მთავრობის დროს ანუ ეხლანდელი მთავრობის დროს აქტიურად დაიწყო უცხოელებზე მიწის გაყიდვა, გამოყოლილი 2009 წლიდან. საკმაოდ ბევრი უცხოელი ინვესტორი იყო დაინტერესებული ამ პროგრამით, თუმცა რამდენიმე თვის წინ შემოვიდა კანონი რომლითაც უცოელებზე მიწის გაყიდვა გართულდა, საპარლამენტო ოპოზიციამ ვერ გადაწონა უმრავლესობის ხმები და შესაბამისად კანონი ჩავარდა. გამოიწვია ის რომ ნაკლები უცხოელი ინვესტორია დაინტერესებული საქართველოში საქმიანობის წამოწყებით, რადგანაც იმ ადამიანმა ვინც მანამდე მოასწრო და შეიძინა მიწა მას უკვე აღარ აქვს იმის იმედი რომ ინვესიტიციები მოზიდვა გაიზრდება, წარმოებაც შესაბამისად მოიკლებს და

ინფრასტრუქტურაც ჩამოიშლება. მრავალი მაგალითია იმისა თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს გარდამავლობა ეკონომიკაში და ამდენივე უარყოფითი შეიძლება ვთქვათ, თუ როგორი ხელის შემშლელია იგი. გადანაცვლება/ჩანაცვლება/ახალი პროექტები არ აძლევს იმის გარანტიას ინვესტორს, რომ მისი გრძელვადიანი პოლიტიკა თავის საქმიანობაში სამომავლოდ არ წააწყდება პრობლემებს.

ემპირიულ დონეზე იმის მტკიცებულება, რომ არსებობს კავშირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მართალია არ არსებობს, მაგრამ

ბორენშტეინისა და გრეგოლიო ამპლის კვლევის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია მიმღები ქვეყანაში ადამიანიკაპიტალის რაოდენობაზე. შესაბამისად ქვეყანაში, სადაც არ არსებობს კაპიტალის საკმარისი მოცულობა და მუშახელი ძირითადად არაკვალიფიციურია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებთი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არ არის ძლიერი.

დისერტაციაში "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალიითზე)" გამოყენებული კვლევის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა 19972010 წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესიტიციების და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დასადგენად რეგრესული ანალიზის გამოყენებას, მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ არსებობს დადებითი კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს შორის.

მიღებული განტოლების სახე შემდეგია:

მშპ=1834.840+3.327(უპი)+0.882(სვ)

<u>მიღებული კოეფიციენ</u>ტი 3.327 გულისხმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი ერთეულით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა 3,327 ერთეულით ზრდას. კვლევის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში განაპირობებს კაპიტალის დაგროვებას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

წყარო: დისერტაცია " პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)

თუ უცხოურ პირდაპირ ინვესსტიციებს განვიხილავთ დინამიკური მწკრივის სახით, შეგვიძლია გამოვთვალოთ საშუალო აბსოლიტური მატების მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენით იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საშუალოდ წლიურად. ამისათვის ვიყენებთ შემდეგ ფორმულას და დინამიკურ მწკრივს ვიღებთ

2006 წლიდან 2016 წლის წინასწარი მონაცემების ჩათვლით ვღებულობთ, რომ

$$\bar{\Delta}=\frac{\sum_{i=1}^{n-1}\Delta_i}{n-1}=\frac{10.8}{11}=0.98$$

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად საშუალოდ 0.98 მილიონით იზრდებოდა. შესაბამისად რეგრესიული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 0.98 მლით ზრდა დაახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტის 3.26 მილიონით ზრდას იწვევს.

თაობათა ცვლა საქართველოში სსრკ-ს დაშლიდან მკაფიოდ გამოიკვეთა. ყოველთვის ის იყო მიმზიდველი რაც უცხო იყო, უცხური, არა ქართული, რაც მეტად განსხვავებული იყო. შესაბამისად დღესაც იმ პირობებში როცა თაობებს ევროპისკენ უფრო ფართო კარები აქვს გახსნილი, უფრო მარტივია მიმოსვლა, გვაქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სიახლის ნახვის მსოფლიოს მასშტაბით, დღესაც ახალი და უცო აქტუალურია. ზოგიერთი ხალხებისთვის საქართველოში რაც უფრო განსხვავებული ხარ მით უფრო მოთხოვნადი ხარ ინ პირიქით უფრო მეტი კრიტიკის მსხვერპლი. ადამაინთა კატეგორია ორივეს მიმღებია და ამავე დროს ორივესწ უგულებემყოფი. შესაბამისად ყველა უცხელი ინვესტორი მოტივირებულია იმით რომ საქართველოს ბაზარი უცხოური პროდუქციის მომსახურების ინოვიციისა თუ ტექნოლოგიისთვის მისაღებია, მარტივად გასავრცელებელია და მოთხოვნადიც, რადგან ჩვენს თაობას და მანამდეც ყოველთვის ჰქონდათ მიმბაძველობა ერთმანეთისადმი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის და ევროინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი. ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. საინოვაციო პოლიტიკა ეს არის, სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური განვითარება ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. დღესდღეობით, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, საწარმოები ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავენ წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, ვიდრე ინოვაციური პროექტების ანხორციელებისათვის.

ინოვაცია გრძელვადიანი პროცესია, რომელიც განსხვავებული, საინტერესო იდეით იწყება და შემდეგ წარმატებით განსახორციელებლად საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაპები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის არც ისე ორგანულია, მაგრამ მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ასე ყოვლისმომცველი ხდება,

საჭიროა დღესვე გადავდგათ ნაბიჯები ცვლილებებისაკენ.

ინოვაციური პროექტების წარმატებით განსახორციელებლად ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნევ „ბიზნესინკუბატორების" ამუშავებას, სადაც მოხდება მომავალი სტრატეგიული პარტნიორების მოძიება, სპეციფიკური ცოდნის შეძენა, ბიზნეს გეგმების მომზადება, ფინანსური რესურსების მოძიება და ა.შ ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი რისკის მქონე, ახალი, ინოვაციური იდეების დაფინანსებას. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ვენჩურული ფონდების განვითარებას და ბაზარზე კონკურენციის არსებობას. ჩვენი მიზანია რეალურად წარმოგიდნგინოთ ფაქტებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით, კარგია თუ ცუდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ბაზარზე, რა მომავალი აქვთ მათ და საქართველოს ეკონომიკური ბაზრის და სხვა უპირატესობები საკმარისია თუ არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და მის განვითარებაში უცხოური პირდა პირი ინვესტიციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა გააანალიზეს გამონაკლისი არც პოსტსაბჭოთა ქვეყნები ყოფილან და არც სხვა ნებისმიერი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები მსოფლიოს მასშტაბით. ამერიკელი ეკონომისტის ე. ჰელპმენის კვლევების თანახმად, ფირმები უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებმს იმ შემთხვევაში ახორციელებენ, თუ სავაჭრო ბარიერები მაღალია, ხოლო დაბალი სავაჭრო ბარიერების პირობებში კი პირიქით, ამჯობინებენ პროდუქციის ექსპორტირებას და არა ინვესტიციის განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საგარეო ვაჭრობა ურთიერთშემცვლელი მოვლენებია.

1976 წელს ჰაიმერის მიერ ჩამოყალიბებული ინდუსტრიული ორგანიზაციის თეორიის თანახმად, ფილიალის დაარსების გზით უცხო ქვეყანაში (ახალ ბაზარზე) გასვლისას კომპანიას ექმნება გარკვეული პრობლემები, რომელიც ადგილობრივ კომპანიებთან კონკურენციის ჭრილშია მოსალოდნელი. კერძოდ, საუბარია ისეთი ტიპის ნაკლოვანებებზე, როგორიცაა: კულტურული და ენობრივი ბარიერები; სამართლებრივი და საგადასახადო სისტემების სხვაობა და ა.შ.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, კომპანია, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციით შემოდის ქვეყანაში, იმედებს ამყარებს სხვასახის უპირატესობებზე: თანამედროვე ტექნოლოგიები; ბრენდის ცბობადობა; დახვეწილი მენეჯერული უნარჩვევები; უცხოურ ბაზარზე მოღვაწეობის დიდი გამოცდილება და ა.შ. ლალის და სტრიიტენის თანახმად, უპირატესობები, რომელიც უცხოურ კომპანიას გააჩნია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაკლოვანებები, რომელიც მათ შეიძლება გააჩნდეთ. საუბარია შემდეგ მიმართულებებზე კულემის თანახმად, სხვა თანაბარ პირობებში, უცხოურ ბაზარზე ხელფასების ზრდა ნეგატიურ გავლენას იქონიებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე.

თუმცა, მეორე მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე ხელფასების ზრდა, შესაძლოა, ადგილობრივი ფირმებისთვის ახალ ბაზრებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გზით გასვლის მოტივატორი გახდეს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და ადგილობრივ მწარმოებლებს ზრდის საშუალებას აძლევს, მათი უპირატესობების უცხოურ ბაზარზე გამოყენების გზით.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის (და არა მხოლოდ საქართველოსთვის) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გააანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს რადგან სწორედ ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანაზოგები, რომელიც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა (მაგ: საქართველო) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (მაგ: თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების გზით), რაც, საბოლოოდ, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაძლიერებას უწყობს ხელს საერთაშორისო ორგანიზაციებზე უფრო ხშირად კი ტექნოლოგიურ სიახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში მულტინაციონალური კომპანიები ნერგავენ, რომლებიც, იმავდროულად, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე, მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის განვითარება, მათ შორის ხელი შეუწყონ სიღარიბის დაძლევას, რომელიც თავის მხრივ პრობლემების შედეგია, თუმცა თავადაც წარმოშობს მრავალ სირთულეს უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებმსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია . ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმი ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩნდნენ. კოპურია-ფორემანის აზრით, ქვეყნის საინვესტიციო მომხიბვლელობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ჩარევის შემცირება და კაპიტალის შემოდინებისათვის ბარიერების მოხსნა (აღნიშნულ პუნქტს ჩვენ ვეწინააღმდეგებით, რადგან არც საქართველოსთვის და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნისთვის არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ნებისმიერი კაპიტალის"

მოზიდვა, პირიქით, „ინვესტიციურმა სიხარბემ" მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან. მაგ: კომპანია „ტრამექსის" შემთხვევა საქართველოში). კომპანია ტრამექსი საქართველოში 1991 წელს დაარსდა და ნავთობისა და გაზის გადამუშავების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. თუმცა, 1996 წელს ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, ნავთობისა და გაზის კორპორაციის შექმნის შემდგომ ტრამექსს ეს უფლება ჩამოერთვა. ამის შემდეგ ტრამექსმა დაკარგული უფლებების აღდგენის მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 98 მილიონი დოლარის გადახდა დაეკესრა. საერთაშორისო სკანდალში კი ეს საქმე მას შემდეგ გადაიზარდა, რაც საქართველოს მთავრობამ ებრაელი ბიზნესმენები ქართველი მაღალჩინოსნებისთვის 7 მილიონი დოლარის ქრთამის შეთავაზებაში დაადანაშაულა და დააპატიმრა.

1997-2010 წლებზე დაკვირვებით, თურქმა ეკონომისტებმა – გუერსოიმ და ქალიონჩუმ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მთლიანი შგა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი გამოიკვლიეს და დაადგინეს რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა საქართველოშიც მჭიდრო კავშირშია. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებმსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებით ეფექტზე თავის კვლევებში ყურადღებას ამახვილებს ლ. კრკოსკაც, რომელიც აკვირდებოდა 25 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას 1989-2000 წლებში. მის კვლევაში მოხვედრილ ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა სტიმულს აძლევდა კაპიტალის დასაგროვებლად, აგრეთვე ეკონომიკური ვარდნის პერიოდში ხელს უწყობდა მათ ეკონომიკურ ზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად დატრიალებული მოვლენების გამო უცხოელი ინვესტორების მხრიდან საქართველოში 2009 წელს მათი კაპიტალის რეინვესტირება არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, რეინვესტირებულმა კაპიტალმა უარყოფითი შედეგი $52 მილიონი შეადგინა. საქართველოში მოღვაწე უცხოელმა ინვესტორებმა ქართული ეკონომიკის ნდობა მხოლოდ 2010 წელს დაიბრუნეს ($227 მილიონი). [11]

[11] წყარო: გიორგი გრიგალაშვილი - ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დარგში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიების მოტივაციები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

დასკვნა

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა საქართველოსთვის ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. უპირველესყოვლისა იმ დადებითი გავლენის გამო, რომლის მოტანაც მას ქვეყნისთვის შეუძლია, რომლის მნიშვნელობა არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური თვალსაზრისით განსაკუთრებულობით ხასიათდება.

ამასთან ვფიქრობ, მისი როლი ეკონომიკურ ზრდაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმ მიზეზების გამო, რომელზეც ზემოთ მქონდა საუბარი. თუმცა იმ ფაქტის გამო, რომ ინვესტიციების რიცხობრივი მაჩვენებელი ყველაფრის მომცემი არ არის, შეიძლება რიცხვებზე უფრო მნიშვნევნელოვანი საკითხები ყურადღების მიღმა დაგვრჩეს. ამიტომ აუცილებელია ამ ასკითხის ღრმა ანალიზი.

სტატისტიკურ მონაცემს თუ დავეყრდნობით, ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი:

- ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის სტაბილური საკანონმდებლო გარემო. ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები აფრთხობს ინვესტორებს;
- საკმაოდ გაჭიანურდა შრომის კოდექსის რეფორმირების პროცესი;
- ახალი რეგულაციები საფოსტო მომსახურებასა და შრომითი მიგრაციის სფეროში;
- საქართველოში აგრეთვე არ არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ეკონომიკის ყველა სფეროს.

საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს" საქმიანობა უფრო მეტად გამჭვირვალე უნდა გახდეს, რაც მის საქმიანობას უფრო მეტად ეფექტურად წარმართავს. საჭიროა ქვეყანაში ისეთი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს საქართველოში და უფრო მეტად გაზრდის ინვესტორების ნდობას. აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებას. ამისკენაა მიმართული სწორედ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიზანს იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით მთავრობა წაახალისებს იმ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების შემოღებაზე. განსაკუთრებით ეს გარემოსდაცვით და რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს შეეხება, რაც „მწვანე" ეკონომიკის განვითარებასაც წაახალისებს. თუმცა, ჩემი აზრით, საჭიროა ისეთი ინვესტიციების წახალისებაც,

რომელიც ქვეყნის რეალურ სექტორში ჩაიდება და ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საჭიროდ მიმაჩნია ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს შეცვლა, რადგან მათი მთელი რიგი საკითხებისა აზიანებს ჩვენს ეკონომიკურ წინსვლას. რთულია რა თქმა უნდა ოკუპირებულ პირობებში გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, მითუმეტეს ინვესტორთა მხრიდან, რაც მათი მხრიდან უნდობლობის განცდას ტოვებს, მაგრამ გამოსწორებადი რაც არის საწყისი ეტაპისათვის შეგვიძლია დავიწყოთ განათლებისა და დემოკრატიის დონის აწევით.

უცხოელი ინვესტორებისათვის მთვარ მოტივაციად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ საექსპორტოდ გატანა საქონლის ჩვენთან იაფია, რასაც გეოგრაფიული მდებარეობაც რა თქმა უნდა ხელს უწყობს. წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ასევე კორუფციისაა და ქრთამების აღკვეთის მთელი რიგი პოლიტიკის გატარება, რამაც უცხოელ ინვესტორებში დათესა იმედი, რომ ვინმე რაიმეს მოგვარებას ფულით არ შეეცდებოდა. ახალ ინვესტორთა ინტერესს და იმედს სთესავს ასევე ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში წარსულში არსებულმა კომპანიებმა, რომლებმაც აქედან აწარმოეს თავიანთი ბიზნესი და გაჰქონდათ ჩვენი ქვეყნის მეშვეობით სვადასხვა ქვეყნებში მათი კვალი რა თქმა უნდა იმედის მომცემი და ერთ-ერთი მყარი დასაყრდენია პოტენციური უცხოური ინვესტიციებისათვის.

საჭიროა უფრო მეტი პოპულარიზაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის, რადგან ზემო აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში არსებულ ბაზარს უფრო გააფართოვებს და აწევს კომპანიებს შორის კონკურენტუნარიანობას, რაც, ვფიქრობ, რომ თითოეული კომპანიისათვის წინგაადგმული ნაბიჯია გლობალიზაციისაკენ, ყოველივე ეს კი ცნობადობას გაუზრდის საქართველოს, რაც სამომავლოდ მოგვცემს შესაძლებლობას თავი დავიმკვიდროთ საერთასორისო ბაზარზე, შემდგომში კი ეტაპობრივად ყველაფერი დალაგდება და ქვეყნის ფულადი მასები საგრძნობლად გაიზრდება, რაც თავის მხრივ ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურად წელში გამართვის საფუძველს ჰპირდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა იძლევა გარანტს ქვეყანაში კაპიტალის დასაგროვებლად, რისი მეშვეობითაც ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაში შედარებით მარტივს ხდის ეკონომიკურ ზრდას.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დროს ქვეყანაში უცხოური ფულადი მასების მეშვეობით ეროვნული ვალუტა მყარდება დოლართან მიმართებაში.

ქვეყნის ინტერესი იმის მიმართ, რომ დაიხვეწოს და უფრო მიმზიდველი გახდეს ინვესტორებისათვის საკმაოდ მაღალია. პირდაპირ გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეკონომიკაზე, ისევე როგორც ინვესტორი თავის პროდუქციას, ეს იქნება მომსახურება და საქონელი, ხარისხით და ცნობადობით გამოარჩევს, ბრენდული ნიშნით, სწორედ ქვეყანასაც ანალოგიური დატვირთვა აქვს. ქვეყნის მოტივია პირველ რიგში კეთილდღეობის გაზრდა ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა

მაშინ, როდესაც ქვეყანას სურს გლობალიზაციაში ჩართვა და სხვა ქვეყნებისთვის იმის ჩვენება, რომ საქართველო საკმაოდ ძლიერი ქვეყანაა, აქ უკვე შეჯიბრის პრინციპია და საქართველო შეგვიძლია ჩავთვალოთ ბაზრზე არსებულ ჩვეულებრივ ფირმად, რომელიც ცდილობს გაყიდოს თავისი საქონელი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, იქნება ეს ფასი - ანუ საგადასახადო სისტემა, ხარისხი - ანუ მუშა-ხელი ცენტრის მაღაზია - ანუ გეომდებარეობა და ა.შ. ანუ ქვეყნისთვის მისი ეკონომიკა არის საქონელი, რომელსაც ყიდის არაპირდაპირ, ირიბად და გაყიდვის შემდგომ სარგებელს იღებს გადასახადებით და მისი ცნობადობის გაზრდით.

და ბოლოს რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობით საქართველო აქტიურად ერთვება გლობალიზაციის პროცესში, იგი აღრმავებს თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან და რაც ასე ძალიან მნიშვნელოვანია იმტკიცებს ღია და განვითარების ხელშემწყობი ქვეყნის იმიჯს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრეგორი მენქიუ "ეკონომიკის პრინციპები" (დიოგენე, 2008)

2. უშანგი სამადაშვილი დივერსიფიკაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. თბ; 2016წ.

3. სიხარულიძე დ. უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე). თბ., 2005

4. თ.შენგელია, გლობალური ბიზნესი. თბილისი 2010

5. “how Beneficial is foreign Investment for Developing Countries”; Prakash Loungani and Assaf Razin; June 2001, Number 4 E

http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/06/loungani.htm

6. ევგენი ბარათაშვილი, დალი მაგრაქველიძე "საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები"

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgibin/library.exe

7. ქრისტინე ჯღანჯრავა "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე"

http://www.nplg.gov.ge/dlibrary/

8. "საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"
www.matsne.gov.ge

9. "საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"

http://www.energy.gov.ge

10. ნიკოლოზ ფხაკაძე; სტატია "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორსახოვნება": ოქტ 2013

http://www.isetpi.ge/index.php/ka/entry

11. თამარ დადიანი "საქართველოყველაზე გახსნილი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის"

http://gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar_Dadiani.pdf

12. გიორგი ყუფარაძე; მონოგრაფია „საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში"

http://library.iliauni.edu.ge/

13. ლალი ხურცია „საინვესტიციო საქმიანობის საფინანსოსაკრედიტო რეგულირება საქართველოში"

14. თეონა აბსანაძე "პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში" აპრ. 2014; forbes Georgia

http://forbes.ge/news/302/pirdapiriucxouriinvesticiebisaqarTveloSi

15. თამარ ჯიჯავაძე; "10 ყველაზე მსხვილი ინვესტიცია საქართველოში" (სექტ/2015)

https://bpn.ge/finansebi/1531110yvelazemskhviliuckhouriinvesticiasaqarthveloshifoto.html?lang=kaGE

16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

www.geostat.ge

17. http://www.bp.com/ka_ge/bpgeorgia.html

18.http://www.economy.ge/ge/media/news/giorgikvirikasvilmalikansiriqsosborjomissastumrosgaxsnasimiiromonawileoba

19. https://forbes.ge/

20. ვახტანგ ჭარაია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე)
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/vaxtang_charaia.pdf

21. ლევან სილაგაძე: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (1996-2016)
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Levan_Silagadze.pdf

22. გიორგი გრიგალაშვილი : ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დარგში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიების მოტივაციები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

23. OECD Benchmark Definition of foreign Direct Investment ; (2008)

https://www.oecd.org/daf/inv/investmentstatisticsandanalysis/40193734.pdf